პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 298 (5099) | ოთხშაბათი, 29 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის 750 წლისთავი

## შოთა რუსთაველი

ხვალ მთელი საქართველო და მასთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირი დღესასწაულობს ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის იუბილეს.

ქართველი ხალხის ისტორიას არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს თავისი კულტურის ამაზე უბრწყინვალესი დღესასწაული, რადგან მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია ეს იყო ტანჯვისა და ბრძოლის ისტორია. ამ ისტორიის ახალი და ბედნიერი ფურცელი მხოლოდ ოქტომბრის ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან იწყება. ამ ისტორიული დღიდან დააღწია თავი ქართველმა ხალხმა ყომრად შინაურ და გარეშე მჩაგვრელებს და დაადგა აღორძინებისა და აყვავების გზას. ახლა კი ხალხთა სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე პირობებში მთელი მსოფლიოს წინაშე იხდის უდიდეს სახალხო ზეიმს — 750 წლისთავს შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის" დაწერიდან.

შოთა რუსთაველის იუბილე ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის ტრიუმფია, ამავე დროს ლენინ-სტალინის ძლევამოსილი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება.

„რუსთაველის იუბილე ჩვენი ძლიერების, სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების ბრწყინვალე დემონსტრაციაა, ეს არის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების დღესასწაული. ჩვენი მრავალრიცხოვანი ხალხები ერთად, მეგობრად, ერთი დროშის ქვეშ — ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ ცხოვრობენ, აშენებენ, ჰქმნიან, ავითარებენ თავის კულტურას, ფორმით ნაციონალურს, შინაარსით სოციალისტურს" („პრავდა").

ქართველი ხალხის დიდ დღესასწაულს საბჭოთა კავშირის ხალხები რომ ძმურად დღესასწაულობენ, ისინი რომ მასში იღებენ მონაწილეობას არა როგორც უცხო სტუმრები, არამედ აქტიური მონაწილენი — ამისი დამამტკიცებელია სსრკ მწერალთა კავშირის პლენუმი თბილისში, მიძღვნილი შოთა რუსთაველის იუბილესადმი. მწერალთა ამ დიდმნიშვნელოვანმა პლენუმმა დაამტკიცა, რომ სტალინური ეპოქის ხალხთა მეგობრობა ურყევია და ურღვევი, რომ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ხალხთა სტალინური ძმობის შერყევა, რომ ეს ძმობა და მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება, ფოლადდება.

ქართველმა ხალხმა დიდიხანია იცოდა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი" უკვდავი ქმნილებაა, მსოფლიო პოეზიის გვირგვინი. რომ მისი ავტორი გენიოსია, რომლის ადგილი მსოფლიო პოეზიის მწვერვალზეა, მაგრამ მან მარტო ვერ მიაწვდინა მსოფლიოს თავისი ხმა ამის შესახებ. ეს შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის საფუძველზე სტალინური ეპოქის ხალხთა მეგობრობის პირობებში, როცა შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხის-ტყაოსანი" ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხისათვის გადაიქცა საყვარელ და სასიქადულო წიგნად. სსრკ მწერალთა კავშირის პლენუმი შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხის-ტყაოსნის" დაფასებისა და სიყვარულის უდიდეს საკავშირო დემონსტრაციად გადაიქცა და ამ დემონსტრაციას იმდენად დიდი რეზონანსი აქვს, რომ იგი მთელ მსოფლიოს სწვდება.

რაც საუკუნეების განმავლობაში შოთა რუსთაველის სახელს, მის გენიალურ „ვეფხის-ტყაოსანს" ზიანი მოუტანეს კაცობრიობის უბოროტესმა მტრებმა, ყოველი დროის ბნელეთის მოციქულებმა, ერთიანად დაუბრუნა, აუნაზღაურა გამარჯვებულმა სოციალიზმის სამშობლომ. ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, ახალი კაცობრიობის გენიოსმა დიდმა სტალინმა.

შვიდ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში იკვლევდა გზას შოთა რუსთაველის „ვეფხის - ტყაოსანი", რომ ჩვენს დროშიც სოციალიზმის მშენებელთა მილიონებს გულები აღაფრთოვანებინა პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, მეგობრობისა და ძმობის უსაზღვრო გრძნობებით.

რით იზიდავს, რით აღელვებს ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ხალხებს „ვეფხის - ტყაოსნის" პოეზია? რასაკვირველია, იმ დიდი პოეტური სტიქიით, რომელიც უსაზღვროდ სჩქეფს ამ გენიალურ ნაწარმოებში. „ვეფხის - ტყაოსანი" თავისი მაღალი იდეალებით, სიბრძნით, მებრძოლი ჰუმანიზმით, ვაჟკაცობისა და მეგობრობის კულტით, სიყვარულისა და ხალხთა ძმობის აპოლოგიით ეხმატკბილება ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ამოცანებს.

სოციალიზმის ქვეყანაში შეესხა ხორცი ქართველი ხალხის გენიალური პოეტის საუკეთესო ოცნებებს. რუსთაველის შემოქმედება გასაგები და საყვარელი შეიქნა ახალი ქვეყნის ადამიანებისათვის, რადგან იგი შეეხმატკბილა ჩვენს ქვეყანაში ესოდენ საპატიო და სათაყვანებელ ადამიანურ თვისებებს: ძმობას, მეგობრობას, თავდადებას, ვაჟკაცობას, პრინციპულობას, სამშობლოს სიყვარულს. იგი ამ ადამიანურ თვისებებს უმღერს უკვდავ ჰიმნებს. რუსთაველი მეტყველებს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია", „ჭირსა შიგან გამაგრება არე უნდა, ვით ქვიტკირსა", „კაცი ცრუ და მოღალატე ჰგავს ლახვრითა დასაჭრელად", „რამცა სადა გაემარჯვა კაცსა ფიცის გამტეხელსა", „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია", „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია".

შოთა რუსთაველის ეს აფორიზმები არა მარტო სიბრძნის მარგალიტებია, არამედ საბრძოლო ქადაგებაც, ამიტომ გახდა „ვეფხის-ტყაოსანი" და მისი ავტორი საყვარელი და მახლობელი საბჭოთა ადამიანებისათვის.

უცნაური ბედი ხვდა წარსულში შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას. ვინ მოსთვლის, რამდენი დევნა და საშიშროება გამოიარა და გადალახა კაცობრიობის ამ ბრწყინვალე პოეტურმა საუნჯემ, რომ ჩვენამდე მოღწეულიყო, და თუ იგი გადაურჩა ჟამთა სიავეს და ჩვენამდე მოაღწია, მხოლოდ და მხოლოდ საუკუნოებრივი ჩაგვრისა და ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის წყალობით. ქართველი ხალხი „ვეფხის - ტყაოსანში" ხედავდა თავისი ოცნებებისა, ზნეობისა და იდეალების განსახიერებას. ამიტომ იცავდა იგი „ვეფხის-ტყაოსანს", ამიტომ დაიცვა იგი და მოიტანა იმ დღეებამდე, როცა „ვეფხის-ტყაოსანს" გამოუჩნდა ნამდვილი დამფასებელი, ნამდვილი მემკვიდრე სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის სახით.

შოთა რუსთაველის ძირითადი იდეები — უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, ერთგულება სიყვარულსა და მეგობრობაში არ შეიძლება ამაღლებელი და საყვარელი არ იყოს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისათვის. ეს რომ ასეა, ამის ბრწყინვალე დემონსტრაციას წარმოადგენს ამ გენიალური პოეტის საიუბილეო ზეიმი.

სამართლიანად აღნიშნა ქართველი ხალხის სახელოვანმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ, რომ „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში გახდა შესაძლებელი გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემის დაწერიდან 750 წლისთავის აღნიშვნა".

შოთა რუსთაველის იუბილე ქართველი ხალხის კულტურისა და ლიტერატურის უდიდესი ზეიმია, იგი უდიდესი ზეიმია საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობისა.

◇ ◇ ◇

**მხოლოდ ურღვევი სტალინური მეგობრობის პირობებში გახდა შესაძლებელი სსრ კავშირის ხალხთა ის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, როდესაც ცალკეულ ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლები მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად ხდებიან, როდესაც უკვდავი რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად თანაბარი სიყვარულით ემზადებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში.**

ლ. ბერია

◇ ○ ◇

## დოკუმენტალური ფილმი — ამხანაგ სტალინის სიტყვა

„სოიუზკინოქრონიკის" მოსკოვის სტუდიამ კინოაფსკაზე გადაიღო ამხანაგ სტალინის სიტყვა, წარმოთქმული მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც შესდგა დიდ თეატრში 1937 წლის 11 დეკემბერს.

ამ ფილმის დამზადება დამთავრებულია.

26 დეკემბერს „სოიუზკინოქრონიკის" ფაბრიკაში შესდგა ფილმის საზოგადოებრივი გასინჯვა. დიდ თეატრში შემდგარი კრების მონაწილეებმა, რომლებიც დაესწრნენ ფილმის გასინჯვას, მთელი რიგი ძვირფასი მითითებებით გამოვიდნენ. ამ დღეებში ფილმს გაამრავლებენ და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის გახსნისათვის გამოუშვებენ ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე.

ფილმზე მუშაობდა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ: რეჟისორი ნ. სოლოვიოვი, ოპერატორები ი. ბელიაკოვი, ვ. სოლოვიოვი, ვ. ეშურინი, ა. შჩეკუტიევი, ხმისოპერატორები — მ. სობოლევი და ზ. უზდინი.

(საკდესი).



## თბილისი

## საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ბაქრაძეს

გმადლობთ მიწვევისათვის. ბოლშევიკური სალამი სოციალისტურ საქართველოს.

სიმონ მიხეილის-ძე ბუდიონი

მოსკოვი.

∞

გმადლობთ მიწვევისათვის. სამწუხაროდ, ჩამოსვლა არ შემიძლიან. მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად განვიცდით სიხარულს გმირობისა და სიმამაცის ამსახველი გენიალური პოემის იუბილეს გამო.

შმიდტი

მოსკოვი.

∞

ავადმყოფობა საშუალებას არ მაძლევს პირადად დავესწრო საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირის დიად დღესასწაულს. ჩემი მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები მშვენიერ საქართველოს, სადაც ყოველ გულში ცოცხალ პოეზიად ჟღერს რუსთაველის საუცხოო ლექსი.

ალექსი ტოლსტოი

ქ. პუშკინი.

∞

მხოლოდ საბჭოთა კავშირშია ყველა ერი თავისუფალი და თანასწორუფლებიანი. საქართველოს მშრომელები დამსახურებულად დღესასწაულობენ შოთა რუსთაველის შემოქმედების 750 წლისთავს. ქართული კულტურა ჩაისახა უძველეს დროს, ახლა აყვავდა ამხანაგი სტალინის ცისკროვანი ღიმილის ქვეშ და მისი დახმარებით. გილოცავთ. ჩამოსვლა არ შემიძლიან.

საბჭოთა კავშირის გმირი ბელიაკოვი

მოსკოვი.

∞

ძლიერ ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან ჩამოსვლა შესანიშნავ იუბილეში მონაწილეობის მისაღებად. გთხოვთ მიიღოთ ჩემი მხურვალე მილოცვა მთელი ქართველი ხალხისადმი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის შემატების 750 წლისთავის გამო.

ვოლოპიანოვი

მოსკოვი.

## სასიხარულო შემთხვევა

(დემიან ბედნის სიტყვიდან)

მე მსურს აღვნიშნო რუსთაველის ხსოვნა სიტყვით, მოკლე სიტყვით როგორც გულის სიღრმიდან ამომავალი სიმღერა.

მოსკოვში ასე, თორმეტი წლის წინათ—ასეთი შემთხვევა მოხდა. ერთ სტუმართმოყვარე მასპინძელს ესტუმრა პოეტი. ეს გარემოება გულთბილმა მასპინძელმა მხედველობაში მიიღო და იმ მიზნით, რომ პოეტისათვის განსაკუთრებული სიხარული, პოეტური სიხარული ეგრძნობინებინა, გამოიღო წიგნის კარადიდან ქართული წიგნი — გენიალური პოეტის პოემა და დაიწყო მისი კითხვა ქართულად. სტუმრისათვის ლექსის მელოდიკა ახალი და მომხიბლავი იყო. გულთბილი მასპინძელი ლექსს იშვიათი ოსტატობითა და გრძნობათმომრევი ჟამსჟღერობით კითხულობდა. ეს ლექსები რუსთაველის ლექსები იყო. კითხულობდა მას ამხანაგი სტალინი.

მას, ვისაც წილად ჰხვდა ბედნიერება განეცადა ასეთი სიხარული, განა შეუძლია არ გაგიზიაროთ იგი თქვენ, ამხანაგებო, რუსთაველის ამ განსაცვიფრებელ დღეებში, იმის უმშვენიერეს სამშობლოში, ვინც ბავშვობაში მოხიბლული იყო ლექსის ჰარმონიითა და რუსთაველის მიერ შექმნილი გმირული სახეებით და ვინც თავისი ვაჟკაცობის წლებში სტალინური ეპოქა აქცია ქვეყანაზე არნახული გმირული საქმეებისა და გმირული ადამიანების ეპოქად.

სტალინის სიყვარული რუსთაველისადმი გრძნობის მომგვრელად არის ასახული კიდევ ერთ მაგალითში. ახალგაზრდობაში სტალინი ამჟღავნებდა ახლა ყველა ჩვენთვის ცნობილ სიყვარულს ხელოვნებისადმი, ლიტერატურისადმი და მხატვრობისადმი. ერთხანს თითონაც სცადა ხატვა და, როგორც მოწმობს ერთერთი დაბეჭდილი მოგონება სტალინის შესახებ, კარგადაც ხატავდა. მას მარჯვე პორტრეტები გამოსდიოდა. და ვისი პორტრეტი დახატა პირველად სტალინმა? რუსთაველის პორტრეტი!

ყოველ თქვენგანს მრავალჯერ აქვს წაკითხული ყოველივე, რაც დაწერილია სტალინის მიერ. იმათ, ვისაც ბედმა გაუღიმა, მოუსმენიათ მისი სიტყვები. ყველაფერში რაც მას დაუწერია, ყველაფერში, რაც მას უთქვამს, არის თავისი სტილი, შეუდარებელი ღირსების სტილი, მარტო მისი დამახასიათებელი — სტალინური სტილი.

ასეთი სტილი — სტალინური სტილი — შეიძლებოდა გამოსჭედილიყო მხოლოდ მთელი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ისეთ განსაცვიფრებელ მცოდნეს, როგორიც ყველამ იცის, არის ამხანაგი სტალინი.

ვაჟა-ფშაველა

## რუსთაველის ნეშტს

მგოსანო საქართველოსავ,
წამოიხედე ზეზედა,
იხილე შენი სამშობლო,
მიმოიარე მზეზედა.
შენი ერისა ჭაბუკნი
გიამბორებენ ხელზედა:
მართლდება შენი ნათქვამი
ათასზე, განა ერთზედა,
თავისუფლდება მონები.
შენ გულს რომ გჭირდა
წყლულადა;
ნეხვთა და ვარდთაც ლამის რომ
მზე მოეფინოს სწორადა...
აღარ ვართ გუშინდელები,
ვიქცევით ერთი-ორადა.
წამოგვეზარდენ ჭაბუკნი,
ჰნახო, სცნობ არწივ-ქორადა!
თავს სწირვენ ნესტანისათვის
ტარიელივით ლომადა...
და ივერიის დიდებას
ხალხს აუბნებენ შორადა.
აღვსდექით, ცამდე ავმაღლდით
ნათქვამნი ჩასაქოლადა.
თუ არ წამოხვალ, მანდ
მოვლენ, —
დღემდის ბევრებსაც ჰნახავდი.
ვიცი, რომ გიამებოდა,
გულს ვარდად დაისახავდი
სახესა ვაჟკაცებისას...
მიიღე როგორც შვილები,
თავდადებულნი ქვეყნისთვის,
შენი სამშობლოს გმირები.
აკურთხე შენის მარჯვენით
ეგ მარგალიტის ღილები,
სამშობლოს მკერდით აჭრილნი
მისთვის დამწვარი ცვილები...

1909 წ.

## „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავის აღნიშვნა საბჭოთა კავშირში

**კრასნოდარი**, 28 დეკემბერი (საკდესი). შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავთან დაკავშირებით, კრასნოდარის ბიბლიოთეკებში მოწყობილია გამოფენები, ეწყობა მოხსენებანი და ამ უკვდავი ქმნილების ხმამაღლა კითხვა. განათლების სამხარეო განყოფილების სალექციო ბიურო 30 დეკემბერს ჰგზავნის 60 ლექტორს მხარის სასოფლო რაიონებში.

**ფრუნზე**, 28 დეკემბერი (საკდესი). ყირგიზეთის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა საიუბილეო საღამო დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პატივსაცემად. გენიალური პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ნაწარმოებებით გამოვიდნენ ყირგიზეთის სახალხო მომღერლები ატაი და მუსა. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა მალდიბაევმა, კუტუბაევმა, ბატალიევმა და სხვებმა ყირგიზულ ენაზე წაიკითხეს ნაწყვეტები პოემა „ვეფხის-ტყაოსნიდან", ყირგიზეთის სახელმწიფო ფილარმონიის ორკესტრმა შეასრულა ქართველ კომპოზიტორთა მთელი რიგი ნაწარმოებნი.

## „მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველთა მიმართვის" გამო

### საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. განმარტებულ იქნას, რომ „სტახანოვური რეკორდების სტალინური თვე", რომელიც საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სტახანოველთა დეკემბრის თათბირის ინიციატივით მზადდებოდა 1938 წლის იანვარში ჩასატარებლად, ეხება მხოლოდ მოსკოვის ოლქს და არა მთელს სსრ კავშირს.

2. არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს განზრახული სტახანოვური ერთთვიურისათვის „სტახანოვური რეკორდების სტალინური თვის" დარქმევა, ვინაიდან სტახანოვური მოძრაობის ყოველგვარი კვირეული თუ ერთთვიური უნდა შეეხებოდეს ყველა სტახანოველს და არა მარტო რეკორდსმენებს, რომელთა მუშაობა სტახანოვური მოძრაობის მხოლოდ სულ უმნიშვნელო ნაწილს მოიცავს, ამასთან სტახანოველთა რიგების გაფართოვება კვირეულის ან ერთთვიურის პერიოდში ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ითვლებოდეს, რაც, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მხედველობიდან გამორჩა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტს და მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სტახანოველთა ცნობილ მიმართვას.

3. სტახანოვური ერთთვიურისათვის მომენტის არჩევა — იანვარი — არ შეიძლება ჩაითვალოს შესაფერისად, რადგანაც მრეწველობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ტრანსპორტებისათვის იანვარი წარმოადგენს სეზონური ხასიათის სპეციფიკურ სიძნელეებს, მით უმეტეს, რომ ძალიან მოკლე ვადა, რომელიც რჩება იანვრამდე ვერ უზრუნველჰყოფს ერთთვიურის საჭირო მომზადების ჩატარებას.

4. იმის გამო, რომ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი სტახანოვური ერთთვიურის ჩატარებას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის შეუტყობინებლად და სათანადო სახალხო კომისარიატებთან შეუთანხმებლად შეუდგა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს ყველა საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, რომ ასეთ შემთხვევებში საჭიროა გამოითხოვონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თანხმობა.

5. რჩევა მიეცეს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტს სტახანოვური მოძრაობის ერთთვიური მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში გადაიტანოს მარტისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

1937 წლის 28 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარიელი

მხატ. ს. ქობულაძის ილუსტრაცია

# იშვიათი განძი

„ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავზე დიდი მზრუნველობით მოწყობილი და ფართო მასშტაბით ჩატარებული საყოველთაო ზეიმი,—ეს არის კულტურული რევოლუციის ერთი საუკეთესო გამოხატულებათაგანი. თუ წინათ რუსთაველის სახელს საქართველოს გარეშე თითოოროლა პირი იცნობდა, დღეს ქართველ ერთან ერთად ამ დიდებულ ზეიმს მხურვალე სალამით ეგებება საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი შედგენილობა: რუსი და სომეხი, უკრაინელი და აზერბეიჯანელი, ბელორუსი და ოსი, ლეკი და ყირგიზი, აფხაზი და იაკუტი და სხვანი. ყველანი თავისად სცნობენ იმ იშვიათ განძს, რომელიც რუსთველის გენიამ შექმნა და უანდერძა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა. ძმობა-მეგობრობისა, ურთიერთდახმარებისა და უანგარო სიყვარულის იდეა, რომელიც ჩაქსოვილია შოთას უკვდავ პოემაში, მთელი კაცობრიობის სანუკვარია. ამიტომ არის, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" ეგრე ხიბლავს და აჯადოებს ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც წაუკითხავს იგი.

ზეიმთან დაკავშირებით უთუოდ ძალიან დიდი საქმე გაკეთდა: პოემა ითარგმნება მრავალ ენაზე, იგი ფართო მასების კუთვნილება გახდა, გაძლიერდა ინტერესი ჩვენი წარსულისა და საზოგადოდ ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივ შესწავლისადმი. თვით პოემამ მკვიდრად დაიპყრო მსოფლიო პოეზიის მწვერვალები. რუსთაველის დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ახლა იქნა სათანადოდ დაფასებული და აღიარებული, მხოლოდ ახლა იქნა იგი აყვანილი პატივისცემის იმ სიმაღლეზე, რომელიც მას უთუოდ ეკუთვნის სხვა ერთა კოლოსებთან ერთად.

ეს დიდი გარდატეხა და ისტორიული მნიშვნელობის საქმე მხოლოდ სტალინური ეპოქის პირობებში განხორციელდა. ამიტომ არ შემიძლია არ გავიმეორო რუსთაველის ზეიმის ერთი სტუმრის გულიდან ამოხეთქილი სიტყვები: გაუმარჯოს ბელადის ხალხს და ხალხთა ბელადს!

პროფ. ა. შანიძე

# რითაა ძვირფასი რუსთაველი

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" მაღალი ეთიკური იდეალებით არის გამსჭვალული. მასში სიყვარულისა და მეგობრობის იდეა შემოსილია იმ მაღალი მორალის შარავანდედით, რომელიც ადამიანის სიდიადეს გამოხატავს.

ორივე ეს მომენტი — ძმადფიცობა და სიყვარული განუყრელია, განუკვეთელია, ურთიერთოდ წარმოუდგენელია. მეგობრობა და სიყვარული წითელი ზოლივით გავლებულია მთელ პოემაში.

სიყვარული რუსთაველის პოემაში ზნეობრივი განახლების წყაროა. იგი მიჯნურისაგან მოითხოვს არა ცრემლებსა და ოხვრას, არამედ საგმირო საქმეებს.

მეგობრობა, გმირობა და თავდადება პოემაში დასახულია, როგორც ადამიანის მოქმედების უმაღლესი ნორმა. მეგობრობა პოემაში წარმოდგენილია არა როგორც ადამიანთა ჩვეულებრივი ყოფაცხოვრებითი ურთიერთობა, არამედ როგორც საძირკველი, რომელზედაც შენდება საზოგადოება. გმირი რუსთაველის გაგებით იმიტომაა გმირი, რომ მან მრავალი დაბრკოლება უნდა ნახოს. გმირმა უნდა დასძლიოს ბოროტი, რათა სიკეთემ გაიმარჯვოს.

მეგობრობა — პოემის ეს ძირითადი ლეიტმოტივი, რომელიც ზოგადკაცობრიულ იდეებს ემსახურება, მახლობელია ჩვენთვის, სტალინური ეპოქის ადამიანებისათვის.

რუსთაველი ჰქადაგებს ძმობას არა მარტო ადამიანთა შორის, არამედ ხალხთა შორისაც, რუსთაველის ეს იდეა მახლობელია ჩვენი ეპოქისათვის, როდესაც გამარჯვებულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა, როდესაც აყვავებულია ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

„რუსთაველმა ჩააწო საშუალო საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა კაცთმოძულე ღრიანცელი და იმღერა მგზნებარე სიმღერა ადამიანზე, თავისუფლების, სიყვარულისა და ბედნიერების მის უფლებებზე". („პრავდა"). რუსთაველმა უმღერა სიცოცხლეს, სამშობლოს, მთელ კაცობრიობას, მისი გმირები სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანები არიან, ერთი მიზნითა და მისწრაფებით გამსჭვალულნი. მათი მეგობრობა, მათი ბრძოლა მიმართულია სამშობლოს ბედნიერებისათვის, მიმართულია სამშობლოს საზიზღარი მოღალატეთა და გამცემელთა წინააღმდეგ.

იდეა სხვადასხვა ხალხთა ძმობისა, რომელნიც გაერთიანებული არიან ერთი აზრითა და ერთი გულისთქმით, კეთილისა და სიმართლის სამსახურის საქმეში, ამ გმირების მებრძოლი ოპტიმიზმი და მგზნებარე პატრიოტიზმი ამტკიცებს ყველა დროის ადამიანთა შეგნებაში სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების გრძნობას.

„ვეფხის-ტყაოსნის" გმირი ქალები გვანცვიფრებენ თავიანთი სალი ჭკუითა და ნებისყოფით. ქალები რუსთაველის პოემაში სახელმწიფოს სათავეში დგანან და დამოუკიდებლად მართავენ მას. ისინი გმირობას შთააგონებენ რაინდებს. რუსთაველი ჩვენთვის იმითაა საყვარელი, რომ მან საშუალო საუკუნეთა შავბნელ ეპოქაში აღიარა კაცისა და ქალის თანასწორობა.

აი, რატომაა, რომ შოთა რუსთაველი ეკუთვნის მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის იმ გენიათა რიცხვს, რომელნიც ინარჩუნებენ მიუწვდომლობას და სწვდებიან საუკუნეებს.

პროფ. ვ. ბერიძე

# მთელი კაცობრიობის კუთვნილება

დიდი კლასიკოსის შოთა რუსთაველის შემოქმედებითი მემკვიდრეობა უდიდეს პოეტურ სიმდიდრეს წარმოადგენს. ნიჭიერი ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში სიყვარულით უფრთხილდებოდა ამ მემკვიდრეობას და ჩვენს დრომდე უქნობად და მომაჯადოებლად შეინარჩუნა იგი. ახლა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" მთელი კულტურული კაცობრიობის კუთვნილება ხდება. ამაშია უდიდესი დამსახურება საბჭოთა კავშირისა, რომელიც ასეთი გაქანებით აღნიშნავს ამ შესანიშნავი პოემის დაწერის 750 წლისთავს.

„ვეფხის-ტყაოსანი" — ეს განსაკუთრებით მაღალი ხელოვნების ჭეშმარიტი პოეზიაა. პოემის თვითეული ტაეპი გარკვეულ სახეს უკავშირდება. ამაშია უდიდესი ღირებულება რუსთაველისა და აღმოსავლეთის სხვა ცნობილი პოეტებისა — ფირდოუსისა, საადისა, რუსთაველის შემოქმედების მაღალი პოეტური დონე ნიმუშს წარმოადგენს ყველა თანამედროვე პოეტისათვის.

ი. ძერჟინსკი

კომპოზიტორი — ორდენოსანი

## გიორგი ქუჩიშვილი

# რუსთაველისადმი

1.

გაჰქრა, დაინთქა დრო თამარისა,
იცვალნენ, შოთავ, საუკუნენი;
შენ კი დარი ხარ
მზის და მთვარისა,
მარადისობის სიღრმეთა ბრწყენით!
ო, რაოდენი
დამტკბარა შენი
საკაცობრიო ჰანგთა მოსმენით!

2.

სადღა არიან „ერის რჩეულნი",
ივერთ მეფენი,
სრა-სასახლენი?
ჟამით რღვეულნი,
ფერფლად ქცეულნი
მთლად წარხოცილან
ცხოვრების დენით.
შენ კი უკვდავჰყოფს
პოემა შენი,
შუქსხივოსანი,
სიბრძნის მომფენი!

3.

შოთავ, ნეტარებს „ტარიელ-გმირი",
ვინც ამტუტა
„ქაჯეთის ციხე",
ისმის „ნესტანის" შვების საყვირი,
წითელ მანდილით
ბროლის ყელს იხვევს,
ხოლო „ფრიდონი" და „ავთანდილი"
ტაშს აგებებენ
ტაშისკარს, ლიხეთს!

4.

მოდიან, შენზე მოიმღერიან
ცეკვით,
შაირით,
ზურნით და სტვირით;
თბილისის ბჭე-კარს ზედ აწერია,
რომ ხარ გენია
და ოქროპირი!

5.

შოთავ, საბჭოეთს მრავალერიანს,
შეკრულ-შეკონილს
ძმური კავშირით,
მოაქვს გვირგვინი და მოელიან
შენ ტოლის მოსვლას
შენი გამზირით!

## იონა ვაკელი

# შოთა რუსთაველს

შორს წასულა, მაინც ისმის,
ეს რა ტკბილი ხმებია,
ხან ღრმად სჭრიან, ციცხლსა ჰყრიან
და ხან იღიმებიან...
დათესილი ჩემს მხარეში
ოქროს თავთავები აქვს,
რაოდენი მღელვარება,
სიტკბოც რაოდენია,
თითქოს იყოს მეგობრობა
მისგან განაჩენია —
სიბრძნის ნერგზე ამოსული
დიდებულო გენია!
ვისი ძუძუ გიწოვია,
შუქი ვისგან გდენია,
რომელ ხის ძირს ჩამომჯდარხარ,
ან სად დაგისვენია,
ცხრა წყაროს სვამდი ცხრა წყაროსას,
შარბათად რომ გდენია,
შენ სამშობლოს სიტყვის ძალა
სიბრძნით დაგიდგენია;
მცირე ერის დიდო შვილო,
მისი ცრემლით გამოზრდილო,
დიდებულო გენია!
შენი სიტყვის ნაჭედობა
დამკვიდრებულ კლდის არი,
აზრი, სიბრძნე, სიმახვილე —
გატყორცნილი ისარი,
ნეტავ ჩემს გულს აღნიშნავდეს
შენი კალმის ფიცარი.
მაგრამ სად ხარ, რომელ კუთხეს,
ან სად დაგისვენია,
იქნებ ომშიც ლომგულობდი,
დაჭრილს სისხლიც გდენია...
ხარ უკვდავად სხივოსანი
შენი ვეფხისტყაოსანით—
დიდებულო გენია!

## ხარიტონ ვარდოშვილი

# შოთა რუსთაველს

1.

შენ ხარ სამშობლოს უკვდავება და სიხარული
და შენს თვალებში მშობელ ერის სიბრძნე კამკამებს.
საუკუნეთა მღელვარება ჯადოქარული
შენს ელვარებას ვერასოდეს ვერ დაალამებს.
ბევრჯერ ყოფილა შენი მიწა სისხლად ქცეული
და დარბეული საქართველოს ზურმუხტი არე,
გულადი ერი მტრის საჯიჯგნად გადაქცეული,
ძაძით მოსილი, დიდი სევდის ცეცხლით მწუხარე.
მაგრამ არასდროს მოუხრია ლაჩრულად ქედი,
სისხლის წვიმებში გამოსჭედა თავის სახელი,
ხმალთა დროშა—გამარჯვების წინამორბედი,
გაანადგურა ბნელი ურდო აურაცხელი.
შენ ამ დროს მოხველ ვარძიიდან დიდი მგოსანი,
და ააჟღერე გრძნეულ ჩანგის მგზნებარე სიმი,
გადაანათე ჩვენი ზეცა ლურჯ-სხივოსანი,
დიად მზესავით სანეტაროდ იწყე ციმციმი!
ხედავდი ირგვლივ რაინდების ცეცხლიან თვალებს,
ტარიელი და ავთანდილი ძმა იყვნენ შენი,
მათი მძლეველი მღელვარება ჰგავდა გრიგალებს,
როცა მტერთ ჰფლეთდნენ, ვით გნოლთა ჯოგს მძლე შევარდენი!

შენ ამ ეპოქის სიდიადით გული აივსე,
გენიის ცეცხლმა აგათრთოლა და მოგერია,
და სიყვარულზე, გმირობაზე ამღერდი ისე,
როგორც არავის, არასოდეს არ უმღერია!
გადმოახვავე სახეები ოქროისანი
და პოეზიის მწვერვალები დაიპყარ სრულად,
მგოსანი ხალხის ყოველ ტომთა სულის მისანი
შენებრი ჩვენში არასოდეს დაბადებულა!

2.

ნეტავ ვინ იყო შენი დედა, ის საყვარელი,
რომელმაც გშობა, გიგალობა ნანინა ტკბილი?
იქნებ სიცოცხლის დღენი განვლე გაუხარელი,
არ გასვენებდა დიდი სევდა და სიმძიმილი?
როდის შეჩერდა შენი გულის უზარმაზარი
გენიის ცეცხლით ანთებული ზღაპრული ძგერა?
როდის გეწვია აღსასრულის ლანდი საზარი
და შენი ჩანგის საოცარი დადუმდა ჟღერა?
იქნებ სიკვდილი ობლობაში გეწვია ცელით
და მარტოდ-მარტომ განუტევე დიადი სული,
არ დასცემია შენს სამარეს საყვარლის ცრემლი
და არ გსმენია ტკბილი სიტყვა ნუგეშით თქმული!
სად განისვენებ სიყვარულით გულგაბასრული,
რომელ მხარეში გაგითხარეს სამარე ბნელი,
ვინ გვიპასუხებს, მუნჯი არის ლანდი წარსულის,
ვინ გადახადოს საუკუნეთ ღრმა საფარველი?
შენ ხარ სიკვდილის დამთრგუნველი, გადამლახველი,
შენთა სიბრძნეთა ელვარება ცას მისწვდენია,
ფოლადის კალმა აამაღლა შენი სახელი
და შორი სივრცე გაანათა შენმა გენიამ!

# რუსთაველი ცოცხლობს ხალხის სიმღერაში, სიტყვაში, ფიქრებში.

## (ამხ. პაველ ტიჩინას სიტყვიდან მწერალთა საიუბილეო პლენუმზე)

ნება მიბოძეთ გადავცე მოძმე თავისუფალ ქართველ ხალხს გულწრფელი მხურვალე სალამი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელით.

ჩვენ მივეჩვიეთ რომ პორტრეტებზე და წიგნებში რუსთაველს ყოველთვის მჯდომარეს ვხედავდით. მაგრამ დღეს ის ფეხზე წამოდგა. დღეს იგი ჩვენს შორისაა, და მისი ტანისამოსის კალთები ხვდება დიდი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და ოლქების სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებს. ყველა რესპუბლიკისა და ოლქისაგან პატივი და დიდება შენ, 750 წლის პოეტო, რომელსაც სიკვდილისა არ ეშინია!

ჩვენ მივეჩვიეთ სურათებზე ყოველთვის ისე ვხედავდით რუსთაველს რომ იგი სწერს, მაგრამ დღეს იგი ჩვენს შორისაა და ლაპარაკობს. და მისი სიტყვები, აფორისტული თაფლით დამძიმებულნი, ბოლომდე შეხმატკბილებულია ჩვენთან, მთლიანად გასაგებია ჩვენთვის.

რუსთაველმა დაიმსახურა ასეთი სიყვარული. რუსთაველმა დაიმსახურა დიდება მოწამისა, რომელსაც სტანჯავდნენ მტრები იმ დროის მოწინავე იდეებისათვის. მართლაც განა არ ცდილობდნენ ეკლესიის მსახურნი და ფარისევლნი დაეწვათ პოემა 200—300 წლის წინათ? მაგრამ აი საოცარი სასწაული: რუსთაველის ნაწარმოები ცეცხლში არ იწვოდა და წყალში არ იძირებოდა და მარადიული იყო თავისი სიახლით, ოპტიმისტური, მტკიცე და ურღვევი.

„ვეფხის-ტყაოსნის" ჰუმანისტური იდეები თვითმოელვარე ასოებით აკაშკაშდნენ საშუალო საუკუნეთა წყვდიადში. ავიღებთ მის მსჯელობას ქალის თავისუფლებაზე თუ სიყვარულის, რაინდული მეგობრობის, ხალხთა მეგობრობის მის სახეებს,— ყველგანაა შორსგამსჭვრეტი რუსთაველის უბრწყინვალეს სიტყვათა ეს თვალისმომჭრელი შუქი,—შუქი, რომელიც შორს იჭრებოდა წინ, მისთვის საზიზღარი წყვდიადიდან, სიბილწიდან, ბნელეთიდან.

მაგრამ საიდან მოდის თვით ეს შუქი? საიდან მოდის რუსთაველის სულის შორსმჭვრეტელობა, მისი სიღრმე, და ძალა?

თავისი პოემის შესავალში ავტორი ამბობს, რომ მან ლექსად გარდასთქვა ხელისხელსაგოგმანები მარგალიტი ესე-იგი ხალხური თქმულება. მაშასადამე, რუსთაველს ხელთ ეპყრა პოეტისათვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მთავარი რამ— ხალხური შემოქმედება, რომელსაც იმდენი გაბრწყინებული თვალი შესცქეროდა, რომ მისგან თვით რუსთაველიც ათრთოლდა, როგორც მზის ოქროსფერი სხივი, ხეთა ფოთლების სიმწვანეში რომ იჭრება. და როდესაც იგი ამ ყველაზე ძვირფას განძს გადასცემს სხვებს, მისი მარგალიტი უკვე ათას ხელს კი არ გაივლის, არამედ მთელ მილიონებს. და მამები რუსთაველის წიგნს ქალიშვილებს მზითვად მისცემენ, როგორც ფასდაუდებელ მარგალიტს. პოეტები თავისი უდიდესი ღირსების საქმედ ჩასთვლიან მიბაძონ რუსთაველის მარგალიტის ბრწყინვალებას და ფორმას და მოჰფენენ მას შორეულ მხარეებს ზღვებისა და მდინარეების გადაღმა, უცხო ქალაქებს, სტანიცებს, სოფლებს.

დიახ! რუსთაველი ცოცხლობს ხალხის სიმღერაში, სიტყვაში, ფიქრებში და მისი სახელი პუშკინის, შევჩენკოს, გოეტეს, შექსპირის, მ. გორკის სახელების გვერდით მოხსენებულია საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ცნობილ წერილში ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი, სწორედ ისევე, როგორც საბჭოთა ბელორუსიის მშრომელთა წერილში. მაგრამ ყველაფერზე უფრო საუცხოო ის არის, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ლექსებს პოეტები ხშირად სწერდნენ რუსთაველის თექვსმეტმარცვლოვანი „შაირით". ხოლო ეს ნიშნავს, რომ რუსთაველი უკვე დაკავშირებულია მშრომელთა უფართოეს მასებთან.

და თუ XVII საუკუნის პოეტი მეფე არჩილი რუსთაველის სახელით ამბობდა, ჩემმა წიგნმა მთელ საქართველოში გაითქვა სახელიო, დღეს უკვე ვხედავთ, რომ შოთა რუსთაველისათვის ცოტაა მარტო საქართველო,— რუსთაველის წიგნმა თავისი სიბრძნით აღავსო მთელი საბჭოთა კავშირი, მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლო. ხოლო სოციალისტურ სამშობლოში ჩვენ მოგვიყვანა ხალხთა ბელადმა, რომელიც, ისევე როგორც რუსთაველი, მოგვცა საქართველომ, — დიდმა სტალინმა.

გაუმარჯოს გენიას, რომელშიც განხორციელებულია ყველა ჩვენი ხალხების, მთელი ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შემოქმედებითი აღმაფრენა და მიღწევები, — გაუმარჯოს სტალინს!

# რუსთაველის მემკვიდრენი— სტალინური მეგობრობით შეკავშირებული ხალხები არიან

— ყალმუხები, ისევე როგორც ქართველები, სომხები, აზერბეიჯანელები და სხვა მცირე ერები დევნილნი და ჩაგრულნი იყვნენ შავბნელი ცარიზმის დროს. მაშინ მეფობდა საყოველთაო უკულტურობა და სიბნელე. მშრომელი ყალმუხებას დედაენა დევნილი იყო, ისინი არ იცნობდნენ მსოფლიო ლიტერატურის მბრწყინავ სახელებს, არ იცნობდნენ პუშკინს, შევჩენკოს, ბევრს სხვას. მათთვის დაფარული იყო თავისუფლებისათვის მომღერალთა სიტყვები.

ახლა ყალმუხი ხალხი თავისუფალი და ბედნიერია. შორეულ, ერთ დროს მიყრუებულ სოფლებშიაც კი კითხულობენ დიდი რუსთაველის გენიალურ პოემას და იხიბლებიან მის გმირთა მამაცობით, „ვეფხის-ტყაოსნის" განუმეორებელი მუსიკით.

ჩემის აზრით, ამ პოემის ბადალი ჯერ არ შეუქმნია არავის. „ვეფხის-ტყაოსანი" უთუოდ საკაცობრიო ლიტერატურის ყველაზე ძვირფასი განძია.

**ბათირ ბასანგოვი**

ყალმუხი მწერალი — დრამატურგი

— შორეული კარელიიდან ჩამოვედი აქ, თბილისში, და ჩამოვიტანე კარელიის მშრომელთა აღტაცება და ძმური სალამი იმ ქვეყნის მშრომელთადმი, რომელმაც მსოფლიო პოეზიას მისცა გენიოსი რუსთაველი.

ჩვენს შორის განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ უბადლო პოეტი შოთა, ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსიცაა, რომელსაც გენიალურად აქვს დამუშავებული დიადი თემა სიყვარულისა, მეგობრობისა და რაინდობისა.

„ვეფხის - ტყაოსანი" კარელიაში ახლა ყველაზე პოპულარული წიგნია. მას კითხულობს ხალხი, იგი უყვარს ხალხს. „ვეფხის-ტყაოსანი" და მისი გენიოსი შემომქმედი ჩვენი — საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხებისაა.

**იალმარ ვირტაინენი**

კარელიის სახალხო პოეტი

— რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში უმღერის მეგობრობას ადამიანთა შორის, მეგობრობას და კავშირს სხვადასხვა ერთა წარმომადგენლებს შორის. მისი პოემის გმირები ერთი არაბეთიდანაა, მეორე ინდოეთიდან და ა. შ.

ამიტომაა ჩვენთვის ძვირფასი რუსთაველი.

განვლო შვიდნახევარმა საუკუნემ და დიდი პოეტის — შოთას იდეამ ფრთები შეისხა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე — დიად საბჭოთა კავშირში განხორციელდა ერთა შორის მეგობრობა და ძმური კავშირი. ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ განახორციელა ეს. ახლა ერთ, ძმურ სტალინურ ოჯახში ვართ გაერთიანებულნი—რუსები, უზბეკები, ქართველები, ყალმუხები, უკრაინელები, ბელორუსები და მრავალი სხვანი.

უზბეკისტანში „ვეფხის-ტყაოსანი" ყველაზე საყვარელი პოემაა. ლენინ-სტალინის თხზულებებთან ერთად შოთას პოემა ამშვენებს ახლა უზბეკ მშრომელთა ბიბლიოთეკების თაროებს.

**ხალიდ რასული**

უზბეკი პოეტი. „ვეფხ. ტყ." მთარგმნელი.

— ისეთი გენიალური პოეტური ნაწარმოების გადასათარგმნად სხვა ენაზე, როგორიც „ვეფხის-ტყაოსანია", საჭიროა კონგენიალური მთარგმნელი. რუსთაველის მეტაფორები მომხიბლავნი, ღრმად მუსიკალური და ამავე დროს ფილოსოფიური აზრის მკვეთრად გამოსახული ნიმუშებია. ამიტომ იყო, რომ კაზახსტანის პოეტმა — მთარგმნელებმა გადავწყვიტეთ კოლექტიურად შევდგომოდით შოთას უკვდავი პოემის თარგმნას. ვთარგმნიდით ოთხი კაცი — მე, თურმანჟიევი, ტაჯიბაევი და სიზდიგოვი. 8 თავი ამ პოემიდან უკვე გამოქვეყნებულია, ხოლო მთელი წიგნი, ალბათ, ამ დღეებში გამოვიდოდა.

კაზახსტანში „ვეფხის - ტყაოსანს" განსაკუთრებული სარბიელი აქვს. კაზახსტანის ლიტერატურა დიდხანს განიცდიდა არაბულ-ირანული კულტურის გავლენას და ამიტომაა, რომ „ვეფხის-ტყაოსნის" გმირები მახლობელნი არიან ჩვენთვის.

შვიდნახევარი საუკუნის განმავლობაში გულით ატარა ქართველმა ხალხმა „ვეფხის - ტყაოსანი", როგორც დროშა ადამიანთა შორის კეთილშობილური კავშირისა და ძმობისა. ამიერიდან „ვეფხის-ტყაოსანს" ეპატრონება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი. იგი უკვდავი და მარადიული იქნება, ვიდრე არსებობს კაცობრიობა, რადგან უკვდავი და მარადიულია ის იდეები, რომელსაც ქადაგებს ლენინ-სტალინის პარტია.

რუსთაველის მემკვიდრენი — სტალინური მეგობრობით შეკავშირებული ხალხები არიან.

**თაირ ჟაროკოვი**

კაზახსტანის პოეტი.



ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, შავი ცხენი სადავითა ეპყრა ლომსა და გმირსა.

მხ. ირ. თოიძის ილუსტრაცია



[illegible]

მხ. მიხ. ზიჩის ილუსტრაცია



მკრა [illegible] ზოგსა [illegible]

მხ. მიხ. ზიჩის ილუსტრაცია



ქვე [illegible] არცა [illegible]

# რუსთაველის პოემა საბჭოთა ხალხის დიდი გულია

რუსთაველის გენიალური პოემა მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილება გახდა. რუსთაველის იუბილე ჩვენი ძლიერების, სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების ბრწყინვალე დემონსტრაციაა. ეს არის ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ტრიუმფალური დღესასწაული.

რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“ უნარჩუნებდა ხალხს რწმენას თავისი ძალებისადმი, იგი სჭედდა ხალხის ძლიერ სულს საუკუნოებრივ ბრძოლაში მტრებთან. რუსთაველის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ქართველი პოეტები მიმართავდნენ მას, როგორც ზეშთაგონების მუზას.

ქართველ პოეტებს რუსთაველის გარშემო აერთიანებს მისწრაფება ხალხურობისადმი. გურამიშვილს თავის მასწავლებლად მიაჩნდა რუსთაველი და მიჰყვებოდა მის კვალს. ბარათაშვილის შემდეგ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესმა პოეტებმა აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ გამოსცადეს აგრეთვე რუსთაველის ცხოველმყოფელი გავლენა, მათ შეიგნეს მისი ხალხურობა და თავიანთ შემოქმედებაში გაჰყვნენ დიდი გენიის კვალს.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლომდე ნათელჰყო რუსთაველის ლიტერატურული სახეები, მათ ჰპოვეს განხორციელება ჩვენს მზიურ სინამდვილეში.

რუსთაველი, რომელიც მთელი ვაჟკაცებით უმღერის მეგობრობას, მაღალ, კეთილშობილურ პრინციპულ მეგობრობას, მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში, კომუნისტურ საზოგადოებაში ქელავდება. მხოლოდ საბჭოთა ხალხი, აღზრდილი ლენინისა და სტალინის მოძღვრებაზე, იძლევა ნამდვილი მეგობრობის ჭეშმარიტად ამაღლებულ და ღრმა სახეებს, ჰუმანიზმისა და ადამიანისადმი სიყვარულის ნიმუშებს.

პოემაში გაბატონებულია ადამიანის გონება, რომელიც ბრძოლაში იწვევს ბუნების მტრულსა და ბნელ ძალებს. რუსთაველის გმირები გვაძლევენ ურყევი ნებისყოფის მაგალითს, ანთებენ ჩვენში ბოროტების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ცეცხლს. რუსთაველის გმირები ცოცხალი, მებრძოლი ადამიანები არიან. ისინი დღემდე ჩვენთან არიან და თითქოს ჩვენი თანამედროვეები არიან. ჩვენ გვხიბლავს მათი მებრძოლი ოპტიმიზმი.

ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი, რომლებითაც გამსჭვალულია პოემა, რელიგიური ბურუსის უქონლობა, გონების, სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვების რწმენა, სიყვარულის მაღალი გაგება ულრესად მგრძნებარე გამოძახილს ჰპოულობენ თვითეული საბჭოთა მოქალაქის გულში. რუსთაველი შემოდის ჩვენი სულის საგანძურში, როგორც დიდი პოეტი და მოაზროვნე.

რუსთაველმა უანდერძა ჩვენს ლიტერატურას ნათელმზიური ენა, თავისი უდიდესი ლექსიკონი, გაკილენთილი ხალხური გამოთქმებით, მან უანდერძა ჩვენს ლიტერატურას საგმირო პათოსი, სინამდვილის რეალური შემეცნება, მისწრაფება ხალხურობისა და სისადავისადმი.

რუსთაველის პოემა არასოდეს არ ბრწყინავდა ისეთ თვალისმომჭრელად, როგორც ამჟამად, ახალი საბჭოთა რენესანსის ეპოქაში. სიცოცხლისაკენ მობრუნებული და აღორძინებული დიადი სტალინური ეპოქის მიერ, რუსთაველის პოემა, სოციალიზმის მილიონობით მშენებელთა გულით გამთბარი, უფრო გაბრწყინდა წარმტაცი შუქით, თავისი მზით, თავისი უქრობი სილამაზით. აი რატომაა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ საბჭოთა ხალხის დიდი გული.

**გ. გაფრინდაშვილი**

# სახელოვანი იუბილე

გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემამ „ვეფხისტყაოსანმა“ აღმიძრა უდიდესი სურვილი — დამესურათებინა ეს შესანიშნავი ნაწარმოები. პოემისადმი სიყვარულმა გაადიდა ჩემი ძალლონე, ხოლო ჩვენს ქვეყანაში მუშაობისათვის შექმნილმა პირობებმა საშუალება მომცა განმეხორციელებინა ჩემი მისწრაფება ორი წლის განმავლობაში.

პოემის თემათა სიმდიდრე და შისი გმირების სახეთა სიღრმე დაუშრეტელია ილუსტრირებისათვის. პოემის მრავალრიცხოვანი საიუბილეო გამოცემები და მისი თარგმანები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე მილიონობით მკითხველებს მისცემენ რუსთაველის ქმნილების წაკითხვის შესაძლებლობას.

**ს. ქობულაძე**
მხატვარი.

# ეცნობიან „ვეფხის-ტყაოსანს“

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ათასიანი კოლექტივი, მუშა მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ფართოდ ეცნობა გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს“. 22—23 დეკემბერს ქარხნის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივზე, სადაც ესწრებოდა 70 კაცზე მეტი, ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლის ამხ. პ. კეშელავას ღრმაშინაარსიანი ლექციები.

ამხ. პ. კეშელავამ ქარხნის პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ აქტივს, პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, გაზეთის ხმამაღლა მკითხველებს გააცნო შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს უდიდესი მნიშვნელობა, რის შემდეგ ქარხნის აგიტატორთა საშუალებით ფართოდ გაიშალა მუშაობა ქარხნის ცალკე საამქროებში.

ისინი სისტემატურად კითხულობენ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების პლენუმის მასალებს. პარტკაბინეტში მოწყობილია გამოფენა, მიძღვნილი რუსთაველისადმი. ახევე სანიმუშოდ ატარებენ საუბრებს ქარხნის სტახანოველები, პარტიის წევრები: ი. განჩაროვა, ა. ეგოვი, პ. მოსხელიშვილი და სხვები.

ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას გათვალისწინებული აქვს მოაწყოს ექსკურსიები გენიალური მწერლისადმი მიძღვნილ გამოფენაზე (საქ. დისი).

# ბრძოლა „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო

**დ. ჯანელიძე**

ეკლესია საუკუნეთა მანძილზე ცდილობდა ხალხის მეხსიერებაში რუსთაველის ხსენება წაეშალა, ხოლო მისი პოემა მოესპო, ხელნაწერი და დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ დაეწვა. თუ რას ემართლებოდნენ ცოფმორეული, ჭკუადამთხვეული ხუცები ხალხის სიბრძნის გამომხატველს, ენამზე შოთა რუსთაველს, ამის პასუხს ვპოულობთ „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერებში, რომელთაც წინ უძღვის კლერიკალებისაგან პოემის შემაჩვენებელი, „კეთილმორწმუნეთა“ გამაფრთხილებელი სტროფი:

„პირველ თავი დასაწყისი
ნათქვამია ივ სპარსულად,
ვუხმობთ „ვეფხის-ტყაოსნობით“,
არას შეიქმს ხორცს არ სულად,
საეროა, არ ახსენებს
სამებასა ერთარსულად,
თუ ყურა მონაზონმა
შეიქნების გაპარსულად“.

ეკლესიამ რუსთაველი „ქრისტესაგან განდგომილ“ მოშაირედ მიიჩნია, „ვეფხის-ტყაოსანი“ მწვალებლურ ნაწარმოებად გამოაცხადა და შეაჩვენა. შავანაფორიანი ფეოდალები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ ხალხისათვის ძვირფასი და შეულეველი ამ პოეტური განძისათვის სახელი გაეტეხათ „არას შეიქმს ხორცს არ სულადო“, პოემა ღმერთს ერთ არსებად არ იხსენიებსო, იმდენად წარმწყმედია, რომ თვით გამუდმებული ლოცვამარხვითა და მეტანიებით ეშმაკეულისაგან დაცულ მონაზონსაც კი წარწყმედს მისი წაკითხვა ან მოსმენაო.

რაკი ეკლესიას „ვეფხის-ტყაოსანი“ ქრისტიანობის შემრყვნელ ნაწარმოებად ჰქონდა მიჩნეული, ცხადია, რუსთაველის „ნათქვამსაც დაუხეველს არ გაუშვებდნენ“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოემის ხელნაწერები მეთვრამეტე საუკუნეზე ბევრად ადრეც ნადგურდებოდა და ამითაც უნდა აიხსნას, რომ პოემის მეთექვსმეტე - მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელმა ხელნაწერებმა ჩვენ დრომდის ვეღარ მოაღწია.

მიუხედავად ასეთი დევნისა, „ვეფხის-ტყაოსანი“ მაინც ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებად იქცა და მისი ცხოველმყოფელი ზეგავლენის კვალი ჩანს ხელოვნების ყოველ დარგში. ლიტერატურისა და მხატვრობის აღორძინებამ რუსთაველის ბრძნული პოეზიით ჩაიდგა სული. პოეტების ოსტატობის საზომად რუსთაველური შაირი იქცა. „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსები ხალხში გადავიდა. თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასებიდან“ ვტყობილობთ, რომ მის დროს სიმღერად ქცეული რუსთაველის ლექსები სახალხოდ გავრცელებულან. კომპოზიტორებს დ. არაყიშვილსა და დ. ჩხიკვაძეს დღემდე 21 ძველი ხალხური სიმღერა აქვთ ჩაწერილი „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტით, და ვინ იცის კიდევ რამდენი ჩაიწერება.

შემოსეულ ურდოებთან გამუდმებულ ბრძოლებში, მტარვალ ფეოდალების წინააღმდეგ ამბოხებებსა და აჯანყებებში „ვეფხის-ტყაოსანი“ შთააგონებდა ხალხს ჭირსა შინაგან გამაგრებას, საწადელის დაურიდებლად ძებნას და პოვნას, მართლის ქმნას, ვაჟკაცობით სახელის მოხვეჭას, საკუთარი მეობის პატივისცემას.

რუსთაველმა მეფეების წინააღმდეგაც გაილაშქრა. „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონებიო“. ამიტომაც იყო, რომ არათუ ეკლესიისათვის, არამედ საერთოდ ფეოდალური წრეებისათვისაც კი საშიშად იყო გამხდარი რუსთაველის აზრების ხალხში გავრცელება. მეფე გიორგი მეცამეტეს უთქვამს: „შოთას თქმულნი... არ არის ბევრთათვის დაწერილიო“ (პლ. იოსელიანი — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 181).

საჭირო იყო რუსთაველის დაცვა კლერიკალების გააფთრებული შემოტევისაგან. რუსთაველის დამცველის როლში გვევლინება პირველი რუსთველოლოგი და „ვეფხის-ტყაოსნის“ პირველი გამომცემელი ვახტანგი.

ეკლესია ვერ აპატიებდა ვახტანგს, რომ მან „ვეფხის-ტყაოსანი“ გამოსცა და მის ზედმეტად გავრცელებას ხელი შეუწყო, ღვთისმეტყველთა უმეცრება ამხილა და ისინი ჭიებს შეადარა, ხოლო ეკლესიისაგან შეჩვენებული, ხუცებისაგან დაგმობილი „წარსაწყმედი“, „სამძაო“ და „საბოზარი“ შაირი ღვთისა და ეკლესიის სამიჯნურო ნაწარმოებად გამოაცხადა. ეკლესია არ დაერიდა ვახტანგის მეფურ ღირსებას, და ბნელეთის მოციქულებმა მეთვრამეტე საუკუნის ამ განათლებულ მოღვაწეს და მწერლობის მოამაგეს უმეცრება დასწამეს. ქართლის მთავარ - ეპისკოპოსი ტიმოთე სწერდა: „რუსთაველი ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდის წილ ბოროტი ბილწება, და გარჰყვნა ქრისტიანობა“.

„ვეფხის-ტყაოსნის“ დაბეჭდილი წიგნები ბნელეთის მოციქულებმა შეაგროვეს და ცეცხლს მისცეს, ხოლო მისი კითხვა სასტიკად აკრძალეს. „კათალიკოსმა ანტონმა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგის დროსა „ვეფხის-ტყაოსანი“ შთააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამისა ქართველთა“ („მოხსენება წმიდათა და სხვათა ადგილთა“ გვ. 154).

და, მიუხედავად იმისა, რომ ბნელეთის მოციქულები ცეცხლში სწვავდნენ და მდინარეში ჰყრიდნენ „ვეფხის - ტყაოსანს“, ხალხმა მაინც დაიცვა და შეინარჩუნა იგი.

„ვეფხის - ტყაოსნის“ დამცირებას და დევნას მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მოუღო ბოლო. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა დღეს სახალხოდ ზეიმობს 750 წლისთავს დიდი პოემის დაწერიდან. რუსთაველის იუბილე ხდება ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მძლავრი დემონსტრაციის გამოხატულებად. ლენინ - სტალინის პარტიამ, მისმა გმირულმა ბრძოლამ და ბრძნულმა საქმიანობამ გამოიყვანა სხვა მოძმე ხალხებთან ერთად ქართველი ხალხიც მისი დიდი კულტურული მემკვიდრეობით კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ სარბიელზე და დღეს ბედნიერი ცხოვრებით წელში გამართული ხალხი უმღერის შოთა რუსთაველს.



ნესტან დარეჯანი
მხატ. ირ. თოიძის ილუსტრაცია



შოთა რუსთაველის ბარელიეფი, შესრულებულია ორდენოსან მოქანდაკე ნიკოლაძის მიერ. ფოტო რ. აკოფოვისა

# შოთა რუსთაველის აფორიზმები

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.
ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
ლექვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადია.
რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია.
კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების.
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.
ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.
ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.
სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.
სიყვარული აგვამაღლებს.
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მზიჭველსა?
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!
თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.
ბოროტსა სძლია კეთილმან, —არსება მისი გრძელია.
მაგრამ თქმულა: კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების.

**პროფ. ივ. ჯავახიშვილი**

# რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“ *

რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალური კულტურა დახასიათებულ უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში, რომელიც მაშინ იყო. ამ სახელმწიფოებრიობის მთავარი მიჯნები მოკლედ ასე შეიძლება მოიხაზოს: საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის შემქმნელი იყო ბაგრატ III, რომელმაც არა მარტო გააერთიანა საქართველო, არამედ საძირკველი ჩაუყარა სოციალურ კულტურასაც, რამაც შემდეგ, XI და XII საუკუნეების განმავლობაში, შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით, უხვი ნაყოფი გამოიღო და მოგვცა საინტერესო შედეგები, რომლებმაც, როგორც დავინახავთ, გამოხატულება ჰპოვეს შოთა რუსთაველის გენიალურ პოემაში.

უკვე წინა ეპოქაში, X—XI საუკუნეებში, საქართველოს სოციალური კულტურა გამსჭვალული იყო ფეოდალური და წოდებრივი პრინციპებითა და პრივილეგიებით. წოდებრიობა გაბატონებული იყო მაშინდელი ცხოვრების ყველა დარგში. არ იყო არცერთი დაწესებულება, რომელიც დამყარებული არ ყოფილიყოს ამ პრინციპზე, არ იყო ცხოვრების არცერთი მოვლენა, რომელიც არ ხასიათდებოდა ამით. წოდებრიობა შეიჭრა ეკლესიაშიც. ეკლესიის მსახურები შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც უმაღლეს წოდებას ეკუთვნოდნენ. ამ ეპოქაში თვით სამონასტრო ორგანიზაციასაც საფუძვლად მონარქიული პრინციპი ედო. მაგრამ ეს პრინციპი XI საუკუნის დასაწყისში, ამ ორგანიზაციის შიგნით მედგარი ბრძოლის შედეგად, შეცვალა რესპუბლიკურმა წყობილებამ არჩევითი პრინციპითა და მონასტრის ყველა წევრთა თანასწორუფლებიანი წარმომადგენლობით.

თუმცა უკვე ბაგრატ III, როგორც უკვე აღვნიშნე, ებრძოდა დიდგვარიანთა წარმომადგენლებს, მაგრამ ვერაფერი დაუპირდაპირა იმ ძალას, რომელიც ფეოდალთა ხელში ჯარის სახით იყო. დავით აღმაშენებლის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დააწესა მუდმივი ჯარი და ამის მეოხებით ფეოდალური ლაშქრისათვის მას შეეძლო დაეპირდაპირებინა კარგად ორგანიზებული, კარგად გაწრთვნილი სახელმწიფო ჯარი, რომელსაც შეეძლო დაეცვა საქართველო არა მარტო უცხოელთა ურდოებისაგან, რომლებიც საქართველოს თავს ესხმოდნენ, არამედ აელაგმა დიდგვარიანთა თავნებობაც, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ სახელმწიფო ძალაუფლების ღონისძიებებს.

დავით აღმაშენებლის შემდეგ ამ ბრძოლაში ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. გიორგი III-ის დამსახურება ის არის, რომ მან ისარგებლა რა სამხედრო მინისტრის მონაწილეობით რეაქციულ ორგანიზაციათა აჯანყებაში, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მან გადააყენა შეთქმულებაში ჩარეული ყველა მინისტრი დიდგვარიანებიდან და შესცვალა ისინი დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული პირებით, რომლებიც თავიანთი პირადი ღირსებებით დაწინაურდნენ.

გიორგი III-ის შემდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა. მის დროს საქართველოს წინაშე დადგა პრობლემა, შეეძლო თუ არა ქალს, რომელსაც მანამდე არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონია, დაეკავებინა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა, ასულიყო სამეფო ტახტზე. ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თანხმობით, აგრეთვე სამღვდელოების სანქციით, რომლის ხელშიც იყო იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრეროგატივა — გვირგვინის საეკლესიო წესით კურთხევა. გიორგი III-ემ ამის გატარება შესძლო მხოლოდ ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის დათმობებით.

გიორგი III-ის შვილის თამარის მეფობის დროს სახელმწიფო წყობილება საქართველოში ინტენსიური პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და შეიქმნა შეზღუდული, კონსტიტუციური მონარქია.

ამ ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია შეიცავდა მთელ კავკასიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც, როგორც ვასალური სამფლობელო, საქართველოს ფარგლებში შედიოდა. გარდა ამისა, მთელი ჩრდილოეთი სპარსეთი ყაზვინამდე და რამტურამდე იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში, და დასავლეთითაც —არზრუმში საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებდა.

ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარ მეფე პატივსცემდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემავალი სახელმწიფოებისა და ერების უფლებებს და უარყოფითად ეკიდებოდა ინკორპორაციას, ამყარებდა მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებას. ისტორიკოსის ცნობით, იგი ამ პოლიტიკას ეწეოდა სავსებით შეგნებულად, ფიქრობდა რა, რომ საქართველოს სახელმწიფოს კონსოლიდაციის ამოცანა სავსებით განხორციელებული იყო.

თამარ მეფის ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მთავრობა ხედავდა, რომ წონასწორობის პოლიტიკა დაარღვია რომელიმე მეზობელმა, საქართველოს მთავრობა გზავნიდა ჯარს დარღვეული წონასწორობის აღსადგენად და იმ სახელმწიფოს დასახმარებლად, რომელმაც თავდასხმა განიცადა.

ამრიგად, ამოცანას, რომელიც თამარ მეფემ დაისახა და რომელსაც, როგორც დოგმას, სცნობდა საქართველოს სახელმწიფო, წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკური სამართლიანობის აღდგენა.

თამარ მეფის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მხედართმთავრები გამოცხადდნენ გიორგი III-თან და განუცხადეს, მშვიდობიანობა გაგვიგრძელდა, მეტი ცდა აღარ შეგვიძლიან, საჭიროა ომი, საჭიროა ლაშქრობა და ახალი ტერიტორიების შემოერთებაო. თუმცა გიორგი III თანახმა არ იყო, მაგრამ იძულებული გახდა გამოეცხადებინა ომი მეზობლებისათვის, რომლებიც იმჟამად არავის, განსაკუთრებით საქართველოს, არ ემუქრებოდნენ, და ომი თითქმის ყველა ფრონტზე დაიწყო.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემა საინტერესოა ამ თვალსაზრისითაც. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, ეხება თუ არა ის ამ პრობლემას და როგორ აშუქებს ამ საკითხს. პოემაში მოცემულია სამხედრო ძალის ორი ტიპი. ერთი მხრით, უხეში ფიზიკური, სამხედრო ძალა, პირადი ვაჟკაცობა, პირადი სიმამაცე წარმოადგენს ერთადერთ ნორმას, რომელიც განაგებს სახელმწიფოს. ასეთი მიმდინარეობის წარმომადგენელია „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირი ტარიელი. იგი თვით მამაცია. იგი იბრძვის, მაგრამ მის ბრძოლას არა აქვს იდეური ხასიათი.

მეორე მიმდინარეობის წარმომადგენელია ავთანდილი, რომელიც თუ იშიშვლებს ხმალს, იშიშვლებს მხოლოდ იმისათვის, რომ დაეხმაროს შეურაცხყოფილთ, იმისათვის, რომ გაანთავისუფლოს ჩაგრულნი. ეს გარემოება შემთხვევითი როდია. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ შოთა რუსთაველმა ორი სავსებით საწინააღმდეგო ტიპი წარმოგვიდგინა. აქ ჩვენ გვაქვს ორი სისტემის, ორი მიმდინარეობის, ორი პოლიტიკური დოქტრინის ასახვა, რომლებიც საქართველოში იყო, და რომელთა შორისაც იმ ეპოქის საქართველოში სწარმოებდა ბრძოლა.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი აღტაცებულია ტარიელით, რომ ტარიელი მისი საყვარელი გმირია. ეს შემცდარი აზრია. საკმარისია გავიხსენოთ ის დახასიათება, რომელსაც იგი ტარიელს აძლევს, რათა გავიგოთ, რომ იგი აღტაცებულია მხოლოდ მისი სიმამაცით, ტარიელის მხოლოდ პირადი ვაჟკაცობით. გაიხსენეთ ის ფრაზა, რომელიც მან იხმარა ტარიელის შესახებ: „მისმან თავისა წონამან“. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის საკმარისი შედარება და ეს ვერ გვიმოწმებს, რომ შოთა რუსთაველის მთავარი გმირია ტარიელი და არა ავთანდილი. შემდეგ იქ მოცემულია მეორე საინტერესო სურათი: ხატაეთის სამეფოს წინააღმდეგ იგზავნება დამსჯელი ექსპედიცია, ხატაეთი დამარცხდა ბრძოლაში, სახელმწიფო მოისპო, თვით მეფე ტყვედ ჩავარდა. შოთა გადმოგვცემს, რომ გამარჯვებულმა დამარცხებული მეფე დიდსულოვნად მიიღო, აპატიება ყველა შეცოდება, რაც მან ჩაიდინა, და დაუბრუნა სახელმწიფო ძალაუფლება, მხოლოდ ვასალური პირობებით. საინტერესო დეტალი: შოთა დასძენს, რომ ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი სიბრძნე ასეც უნდა მოიქცესო.

მე მგონია, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ პოემაში აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის შოთა რუსთაველის პოემის ანალიზზე.

შოთა რუსთაველის ნაწარმოებში ასახულია ქართველი საზოგადოების პროგრესული ფენების იდეები, საზოგადოებისა, რომლის უბადლო მებაირახტრეც ის იყო: ხალხთა ძმობა —განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ეს ძმობის იდეა გენიალური პოეტის ნაწარმოებში აბსტრაქტული წინადადება როდია, ეს არის მწვავე საკითხი, რომელსაც საქართველოს ისტორიისათვის, საქართველოს სახელმწიფოსათვის დიდი და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით ულრესად საინტერესოა იმის გადაწყვეტა, თუ რა შეადგენს ამ პოემის ძირითად იდეას: რაინდული სიყვარული თუ ძმადნაფიცობის იდეა — ხალხთა ძმობის იდეა, როგორც იქ არის დახატული.

მე მგონია, სავსებით უეჭველია, რომ სწორედ მეორე ნაწილი — იდეა ძმობისა, ამა თუ იმ ეროვნებისადმი, ამა თუ იმ სარწმუნოებისადმი კუთვნილების დამოუკიდებლად, წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლის გულისთვისაც დაიწერა შოთა რუსთაველის ეს გენიალური პოემა.

რა თქმა უნდა, გენიალური პოეტის ქმნილება პოლიტიკური ტრაქტატი როდია, და როდესაც შოთა რუსთაველი სწერდა, მას არ ჰქონია განზრახვა მოეცა ჩვენთვის ყოველივე იმის ამომწურავი ახსნა, რაც იმ დროის ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენებს აღელვებდა, მაგრამ, ჰქმნიდა რა დიად მხატვრულ პოემას, იგი, თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული, თავისი უკვდავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეალს, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა ეხილნა მაშინდელ საქართველოში.

მე არ შევეხები იმ საკითხს, თუ რამდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან საქართველოს ისტორიული ცხოვრების ის სურათი, რომელიც მოცემულია შოთა რუსთაველის პოემაში. შესაძლებლობა რომ მქონდეს განვიხილო ეს საკითხი მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, ძნელი არ იქნებოდა დამემტკიცებინა, რომ ამ პოემაში გადმოცემულია ცხოვრების ზოგიერთი ისეთი პირობები, ისეთი ჩვეულებანი, რომლებიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა. თუმცა იქ დასახელებული არიან არაბები, სპარსები, ინდოები, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვნებენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქ დასახელებულია. შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული სძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს.

შვიდსაუკუნე - ნახევარმა გახვლო მას შემდეგ, რაც ეს გენიალური პოემა იწერებოდა.

შოთა რუსთაველის პოემა ყოველთვის გვიტაცებდა თავისი პოეტური ღირსებებით და ცხოვრების სიბრძნით. მაგრამ მე ვფიქრობ, პოეტური ღირსებებისა და ცხოვრების სიბრძნის გარდა ამ პოემაში ოქროსავით მიმობნეულია სოციალური ხასიათის სიბრძნე იმ საკითხებზე, რომლებიც მაშინ მოწინავე ქართველ საზოგადოებას აღელვებდა. შოთა რუსთაველი არა მარტო თავისი საზოგადოებისათვის იყო მოწინავე, არამედ იგი იცავდა ისეთ იდეალებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ 7½ საუკუნე გავიდა, ძვირფასია ჩვენთვის, საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეთათვის, სადაც ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა განხორციელებულია და თანასწორუფლებიანობის პრინციპი უცილობელ დოგმად არის მიჩნეული.

ვფიქრობ, რომ ახლაც, ამ პოემის გადაკითხვისას, თვითეული ჩვენთაგანი არაერთხელ ჩაუფიქრდება გენიალური პოეტის ბრძნულ გამოთქმებს. თვითეულ ჩვენთაგანს არაერთხელ მოუხდება ჩაუფიქრდეს იმ ბრძნულ გამოთქმებს, რომლებიც მიმობნეულია შოთა რუსთაველის პოემაში. ხალხთა ძმობა ჩვენთვის გაცილებით უფრო გასაგებია, ვიდრე გასაგები იყო მაშინ, როდესაც რუსთაველი სწერდა თავის პოემას. ჩვენთვის ეს გასაგები და ძვირფასია, იმიტომ რომ საბჭოთა დიპლომატია, თავისი მთავრობის დავალებით, ყოველთვის იცავს ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, ცდილობს ყოველთვის დაეხმაროს იმ ჩაგრულ სახელმწიფოებს, რომელთა უფლებებს ფეხქვეშ სთელავს უხეში სამხედრო ძალა.

მიუხედავად იმისა, რომ გენიალური პოემის შექმნის დროიდან 7½ საუკუნემ განვლო, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, იმდენი საუკუნეც რომ გავიდეს, რამდენმაც დღემდე განვლო, მეტსაც ვიტყვი, მანამდე, სანამ ადამიანის ორგანიზმში ადამიანის კეთილშობილი გული სძგერს, მანამდე, სანამ კეთილშობილურ გრძნობებსა და სიყვარულს მიმზიდველი ძალა ექნება, არასოდეს არ მოკვდება რუსთაველი. არასოდეს არ მოკვდება ეს დიადი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“.

*) მწერალთა კავშირის პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან.

# მოვიპოვოთ 1938 წელს მაღალი მოსავალი

## მოსკოვის ოლქის მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მიმართვიდან

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა გლეხობამ, გამსჭვალულმა ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და ძლიერებისათვის ბრძოლის ერთიანი მისწრაფებით, თავისი ხმა მისცა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. კოლმეურნე გლეხობამ ისევ და ისევ ცხადჰყო თავისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი.

მოსკოვის ოლქის ყველა მშრომელთან ერთად კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები უზენაესი საბჭოს არჩევნებს შეხვდნენ ახალი საწარმოო გამარჯვებებით, სტახანოვური მოძრაობის, სოციალისტური შეჯიბრების აღმავლობით.

ჩვენი ოლქის საუკეთესო კოლმეურნეობანი მთელი ჩვენი ქვეყნისათვის არიან ცნობილნი. მაღალი სტალინური მოსავლით გაითქვა სახელი დიმიტროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედამ", სადაც მუშაობს ჩვენი წარჩინებული ორდენოსანი კოლმეურნე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი სიდოროვი. თავისი წველადობით, თავისი მაღალი მოსავლით ცნობილი არიან რამენსკის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა, ლუხოვიცკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა „კომინტერნი" და სხვები.

იზრდებიან მთელი რიგი მოწინავე კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. კოლმეურნეთა პატიოსანი სტახანოვური შრომით უზრუნველყოფილია მაღალი მოსავალი.

რამენსკის რაიონის კოლმეურნეობა „მაიაკმა" წელს ჭვავის საშუალო მოსავალი მიიღო 25,5 ცენტნერი ჰექტარზე, ხორბლისა—27 ცენტნერი, კარტოფილისა—300 ცენტნერი ჰექტარზე.

დიმიტროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პახარმა" ჭვავის საშუალო მოსავალი მიიღო 26 ცენტნერი ჰექტარზე, ხორბლისა—31 ცენტნერი, შვრიისა—31 ცენტნერი, კარტოფილისა—300 ცენტნერი ჰექტარზე.

ლუხოვიცკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ წელს თითო საფურაქო ძროხაზე მიაღწია 4.200 ლიტრი რძის წველადობას 11 თვის განმავლობაში.

მიტიშჩინსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ლესნიე პოლიანებმა" წელს საფურაქო ძროხაზე საშუალოდ მიაღწია 4.458 ლიტრი რძის წველადობას 11 თვის განმავლობაში.

ჩვენს მოსკოვის ორდენოსან ოლქში ცოტანი როდი არიან საკოლმეურნეო წარმოების გმირები.

ამხანაგ ფ. ტ. ფროლოვის ბრიგადამ—რამენსკის რაიონის კოლმეურნეობა „პიონერი"—ჰექტარზე მიიღო 40 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, ხოლო სარეკორდო ნაკვეთის 4 ჰექტარიდან—47 ცენტნერი თითო ჰექტარზე. ლუხოვიცკის რაიონს ორეშკოვოს საბჭოთა მეურნეობის სტახანოველმა ქალმა მ. ი. კოსტანტინოვამ ჰექტარზე მიიღო 1.604 ცენტნერი ჭარხალი. ლენინის რაიონის მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა ანასტასია კრაპივინამ ჰექტარზე აიღო 850 ცენტნერი სტაფილო და 433 ცენტნერი ხახვი.

მეცხოველეობის სტახანოველებმაც საუცხოო შედეგებს მიაღწიეს. ვისოკინიჩის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მეღორემ ა. ს. გალკინამ თითო დედალორზე საშუალოდ მიიღო 30 გოჭი ნამატი. ჩვენი ოლქის წარჩინებულმა მწველავებმა ორდენოსანმა სტახანოველებმა პერსიანცევამ, ნარტოვამ, ვავოხინამ, მარკინამ და მრავალმა სხვამ საშუალოდ მიაღწიეს 5 და მეტ ათას ლიტრ წველადობას თვითეული საფურაქე ძროხისაგან.

ტრაქტორისტებმა მურატიკოვამ, კრასნოვამ, სელმჩელმა ვორობიოვმა, კომბაინერებმა ახაჩევმა, ესიპოვმა, საბლინმა აგრეთვე გვიჩვენეს სოციალისტური შრომის ნიმუშები.

მაგრამ, ამხანაგებო, ეს წარმატებანი ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებენ. ჩვენ ისინი უნდა გავამრავლოთ მომავალ სასოფლო-სამეურნეო წელში.

ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა მივაღწიოთ, რათა ცალკეულ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, რგოლების სარეკორდო მოსავალი გახდეს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საშუალო მოსავლად, რათა საუკეთესო ტრაქტორისტებისა და ტრაქტორისტ-ქალების სტახანოვური გამომუშავება გახდეს საშუალო გამომუშავებად ჩვენი ოლქის ყველა ტრაქტორისტისათვის, რათა ყველა მწველელმა მიაღწიოს ისეთ წველადობას, როგორსაც მიაღწიეს ნარტოვამ, პერსიანცევამ, ვავოხინამ, მარკინამ.

ჩვენი ქვეყანა გამარჯვებით ამთავრებს მეორე ხუთწლედს და შედის ახალ 1938 წელში, მესამე სტალინური ხუთწლედის პირველ წელში.

ჩვენ მოწოდებით მივმართავთ მოსკოვის ოლქის ყველა კოლმეურნეს, კოლმეურნე-ქალს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, აგრონომებს, ტრაქტორისტებს, ზოოტექნიკოსებს, სოციალისტური მინდვრების ყველა მუშაკს—წარმატებით მოემზადონ მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი გაზაფხულისათვის.

ამხანაგო კოლმეურნეებო, კოლმეურნე-ქალებო, აგრონომებო, მექანიკოსებო, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო,—სოციალისტური მინდვრების ყველა მშრომელნო, გავხადოთ 1938 წელი სტახანოვური მოძრაობის ახალი აღმავლობის, სტალინური მოსავლის მოპოვების წლად თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში! მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველთა მოწოდების პასუხად გამოვაცხადოთ 1938 წლის იანვარი და თებერვალი საგაზაფხულო თესვისათვის მზადების სტახანოვურ რეკორდთა სტალინურ თვეებად.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერი, კულტურული ცხოვრებით. მაგრამ ჩვენ გვახსოვს წყეული წარსული, გვახსოვს სიღატაკე და უუფლებობა, საიდანაც ჩვენ ბედნიერ გზაზე გამოგვიყვანა ბოლშევიკების დიადმა პარტიამ, ლენინმა და სტალინმა.

ჩვენ ვმუშაობთ ჩვენთვის, თვითონ ვჭედავთ ჩვენს ბედნიერებას. ჩვენთვის ყველაფერია მისაწვდომი ჩვენს ქვეყანაში. ჩვენზე ზრუნავს ბოლშევიკების ჩვენი მშობლიური პარტია, ჩვენი საბჭოთა მთავრობა, ჩვენი დიდი სტალინი.

ჩვენ მოგიწოდებთ, ამხანაგებო, ერთი წუთითაც არ დაივიწყოთ ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენი სამშობლო კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი რევოლუციური სიფხიზლე, დაუზოგავად ვამხილოთ ხალხის წყეული მტრები, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი დაქირავებული აგენტები.

ჩვენს სიხარულს, ჩვენს ბედნიერებას, ჩვენს სტალინურ კონსტიტუციას ჩვენ ვერასოდეს ვერავინ წაგვართმევს!

ამხანაგებო! ჩვენ მოგიწოდებთ განამტკიცოთ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი კავშირი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოთ ჩვენი დიადი პარტიის გარშემო, სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ჩვენი ძვირფასი ამხანაგი სტალინის გარშემო.

**მიღებულია დიმიტროვსკის რაიონის კოლმეურნეობათა „პობედასა" და „კრასნი პახარის", ლუხოვეცკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას", რამენსკის რაიონის კოლმეურნეობა „მაიაკის", მიტიშჩის რაიონის მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობა „ლესნიე პალიანის" მუშათა, აგრონომებისა და მოსამსახურეთა, ლენინის რაიონის კავშირისა და მე-2 მიხნევსკის მტს-ის მუშათა, ტრაქტორისტებისა და აგრონომების კრებებზე.**



შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტი. ძეგლი იდგმება თბილისის ცენტრში, ელბაქიძის დაღმართის თავში. პროექტი შესრულებულია მოქანდაკე კოტე მერაბიშვილის მიერ. ფოტო რ. აკოფოვისა.

# „ვეფხის-ტყაოსნის" რუსული გამოცემანი

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა „ვეფხის-ტყაოსნის" ახალი თარგმანი, შესრულებული პოეტ პანტელეიმონ პეტრენკოს მიერ კ. ჭიჭინაძის მონაწილეობითა და რედაქციით. წიგნს დართული აქვს შოთა რუსთაველის პორტრეტი და ილუსტრაციები, შესრულებული ს. ქობულაძის მიერ.

პოემის მთარგმნელი პ. ა. პეტრენკო უდროოდ დაიღუპა და ვერ მოასწრო თავისი შრომის დამთავრება. თარგმანი შესწყდა 1601 სტროფზე. დანარჩენი 142 სტროფი აკადემიის საქართველოს ფილიალის წინადადებით სთარგმნა პოეტმა ბ. ი. ბრიკმა.

წიგნის წინასიტყვაობაში აკადემიკოსი იოსებ ორბელი სწერს: „...რუს პოეტების წინაშე, რომელთაც უყვართ და აფასებენ შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას, სდგას კეთილშობილი ამოცანა: ხელში აიღონ კალამი, რომელიც პანტელეიმონ პეტრენკოს დაუვარდა, და ბეჯითი მუშაობით მის მემკვიდრეობაზე, იმათთან თანამშრომლობით, ვინც იცის შოთას ენა, შექმნან თარგმანი, რომელიც უკვდავი შოთა რუსთაველის ქმნილებას შეეფერება".

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა „ვეფხის-ტყაოსნის" თარგმანი შესრულებული გიორგი ცაგარლის მიერ ვლ. ელსნერის რედაქციით. წიგნს დართული აქვს ა. სვანიძის წინასიტყვაობა. გამოცემა დასურათებულია თამარ აბაკელიას ილუსტრაციებით და შოთას პორტრეტით. ტირაჟი 30.000 ცალი. ფასი 10 მან. 50 კაპ.

საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტი, სპეციალურად თარგმნილი და გადამუშავებული ბავშვთათვის პოეტ ნ. ზაბოლოცკის მიერ. წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა. გამოცემა დასურათებულია სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით და შოთას პორტრეტით. ყდა, ფორზაცი და გრაფიკული გაფორმება ეკუთვნით მხატვრებს ა. ქუთათელაძეს და ლ. გრიგოლიას. ტირაჟი 25.000 ცალი. ფასი 10 მანეთი.

# ქრონიკა

დღეს, 29 დეკემბერს, დღის 3 საათზე, სახელმწიფო მუზეუმის შენობაში გაიხსნება რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის გახსნაზე მოწვეული არიან მოძმე რესპუბლიკებიდან შოთა რუსთაველის იუბილეზე ჩამოსული სტუმრები, საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მე-5 საკავშირო პლენუმის დელეგატები, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების წარმომადგენელნი და სხვ.

# საქდესის გასწორება

საქდესის მიერ 27 დეკემბერს გამოშვებულ ამხ. ანგოროყვას სიტყვაში (იხ. „კომუნისტის" 28 დეკემბრის ნომერი) საბჭოთა კავშირის მწერალთა პლენუმზე მორიგე რედაქტორის ამხ. პინალოვას მიზეზით დაშვებულია ამხანაგ სტალინის ციტატის უხეში დამახინჯება. ამ მიზეზის გამო გახსაკუთრებული ბიულეტენის მე-32 ფურცლის მე-3 აბზაცს ვიძლევით ახალი რედაქციით:

„მართლაც ურღვევია ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა. ეს გამარჯვების კანონია. დიდმა ბელადმა სთქვა: „...მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის—დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და ღღგრძელობს" (სტალინი).

ციტატის დამახინჯებისათვის რედაქტორი ამხ. პინალოვა მოხსნილია საქდესში მუშაობისაგან.

საქდესი.

# არდადეგები თბილისის სკოლებში

29 დეკემბერს თბილისის სკოლებში შესწყდება მეცადინეობა და დაიწყება საზამთრო არდადეგები. სტალინური მზით გამთბარი ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა დიდი ენტუზიაზმით ემზადება საზამთრო არდადეგების შესახვედრად.

მოსწავლეთა კულტურული დასვენება - გართობის მიზნით არდადეგებისათვის შერჩეულია საბავშვო მხატვრული სურათები და პიესები.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში 6 იანვარს დილით წარმოდგენილი იქნება „გმირთა თაობა", ხოლო 12 იანვარს „ნაპერწკლიდან".

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში 2 იანვარს დღისით წარმოდგენილი იქნება „დაისი", 3 იანვარს—„ევგენი ონეგინი" და 4 იანვარს „ესმერალდა".

კინო „კომკავშირელში" 30 დეკემბერს დღისით ნაჩვენები იქნება „ლენინი ოქტომბერში"; 26 კომუნარის სახელობის კინო-თეატრში 4 იანვარს „გავროში", 7 და 9 იანვარს—„კარო", 10 და 12 იანვარს—„ლენინი ოქტომბერში"; კინო „სპარტაკში" 30 დეკემბერს—„გავროში", 7 და 9 იანვარს—„ლენინი ოქტომბერში"; კინო „განთიადში"—30 დეკემბერს „შვიდი მამაცი", 4 და 6 იანვარს — „პარტიზანის ქალიშვილი" და 12 იანვარს — „გავროში".

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში 31 დეკემბერს დღისით მოეწყობა საახალწლო ნაძვისხე. 3 იანვარს, საღამოს 7 საათზე, წარმოდგენილი იქნება „პავკა კორჩაგინი", 4 იანვარს მოეწყობა ბავშვთა თვითმოქმედების დილა, ხოლო საღამოს 7 საათზე წარმოდგენილი იქნება „პავკა კორჩაგინი", 5 იანვარს ბავშვთა თვითმოქმედების დილა, საღამოს — „პავკა კორჩაგინი". 6 იანვარს, საღამოს 7 საათზე, წარმოდგენილი იქნება „მარშალი ბავშვობისას", 9 და 10 იანვარს—„აჭარის მთებში".

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობა

## ჟაკ დიუკლოს მოხსენება

**პარიზი**, 27 დეკემბერი (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობის 26 დეკემბრის საღამოს სხდომა მიეძღვნა მოხსენებებს პარტიის სხვადასხვა საოლქო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობის მეთაურ ნეგრინისადმი, ესპანელი ხალხისა და რესპუბლიკური არმიისადმი, რომელიც იბრძვის საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე ამხ. ტელმანს და გერმანიის ხალხს.

**არლი**, 27 დეკემბერი (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობის მესამე დღე დაიწყო ადგილებიდან გამოგზავნილი დელეგატების მოხსენებათა გაგრძელებით. ალჟირის დელეგატი კადური თავის მოხსენებაში ჩერდება ალჟირის მოსახლეობის ცხოვრების მძიმე პირობებზე, ხაზს უსვამს ალჟირის მშრომელთა დიდ იმედგაცრუებას იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის პროგრამა მთლიანად არ ხორციელდება. პროექტი ვიოლეტ-ბლიუმის კანონისა, რომელსაც ალჟირის მოსახლეობის ნაწილისათვის საარჩევნო უფლებები უნდა მიენიჭებინა, ჯერ არც კი განუხილავს პარლამენტს. საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის ადგილობრივი მოსახლეობა პროტესტს აცხადებს მოხელეებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მოქმედების წინააღმდეგ, რომელთა უმრავლესობაც ფაშისტები არიან, და რომელნიც სახელს უტეხენ სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის პარტიებზე დაყრდნობილ მთავრობას. ამავე დროს მოხელეები ჩრდილოეთ აფრიკაში პროპაგანდას ეწევიან ჰიტლერის, მუსოლინის და ფრანკოს სასარგებლოდ. ორატორი მოითხოვს, რათა მთავრობამ მიიღოს ზომები იმ პროპაგანდის შესაწყვეტად, რომელსაც ჩრდილოეთ აფრიკაში ჰიტლერისა და მუსოლინის აგენტები ეწევიან.

შემდეგ მოხსენებით თემაზე „გათიშვის ლიკვიდაცია და მუშათა კლასის ერთიანობა" გამოვიდა ჟაკ დიუკლო. დიუკლო მოაგონებს ყრილობას საფრანგეთის მსხვილი კაპიტალის ხრიკებს, რომელიც არღვევს სოციალურ კანონმდებლობას და კოლექტიურ ხელშეკრულებებს. მომხსენებელი ამბობს, რომ მუშათა კლასის მიერ მსხვილი კაპიტალის ამ ხრიკებისათვის წინააღმდეგობის გაწევა გაძლიერდებოდა ერთიანობის განხორციელებით, პროლეტარიატის ერთიანი რევოლუციური პარტიის შექმნით. ერთიანობა, — ხაზს უსვამს დიუკლო, — საშუალებას მოგვცემდა მთლიანად გაგვეხორციელებინა სახალხო ფრონტის პროგრამა, საშუალებას მოგვცემდა გაგვეტარებინა ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც სახალხო ფრონტის პროგრამას შეესაბამება. შემდეგ დიუკლო ჩერდება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და მუშათა კლასის ერთიანობის განხორციელებისათვის ბრძოლის ისტორიაზე. დიუკლო მოაგონებს ყრილობას იმ ლონისძიებებს, რომლებსაც მიმართეს კომუნისტებმა, რათა ერთიანობისათვის მიეღწიათ. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება წააწყდა წინააღმდეგობას სოციალისტური პარტიის მხრივ, რომელიც უარყოფითად უპასუხებდა კომუნისტების ყველა წინადადებას ერთიანობის შესახებ.

ეხება რა გადაწყვეტილებას, რომელიც 24 ნოემბერს მიიღო სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ერთიანობის შესახებ მოლაპარაკების შეწყვეტის თაობაზე, დიუკლო ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთის ფაშისტურმა და რეაქციულმა პრესამ მოიწონა სოციალისტთა ხელმძღვანელობის ასეთი ჟესტი. დიუკლო მოაგონებს ყრილობას, რომ კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა თავისი წინადადებანი ერთიანობის განხორციელების საკითხზე და მოითხოვდა, რათა აღნიშნული წინადადებანი გამოექვეყნებინათ და საერთო ძალღონით გაევრცელებინათ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წევრთა მიერ განსახილველად. მაგრამ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ კომუნისტების ამ წინადადებას პასუხი არ გასცა, მაშინ, როცა სოციალისტ მუშათა მასები ერთიანობისაკენ მიისწრაფიან. დიუკლო ადასტურებს, რომ კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველივე მოიმოქმედონ ერთიანობის განსამტკიცებლად. მიმართავს რა სოციალისტურ პარტიას, დიუკლო აყენებს კითხვას: „რა გინდათ, რა გსურთ გვითხარით". კომუნისტები კვლავ აყენებენ თავის წინადადებებს — ერთად გამართონ კრებები კომუნისტმა და სოციალისტმა დეპუტატებმა, ითანამშრომლონ კომუნისტებმა სოციალისტური პარტიის გაზეთებში და სოციალისტურმა პარტიამ ითანამშრომლოს პრესის კომუნისტურ ორგანოებში. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ორგანიზაციებმა ერთად მოაწყონ კრებები. „ჩვენ უკვე განვაცხადეთ და ჩვენ ამას ვიმეორებთ, — ამბობს დიუკლო, — რომ ჩვენ თანახმა ვართ სოციალისტური პარტიის მარსელის ყრილობის მიერ ერთიანობის საკითხის შესახებ წამოყენებულ პირობებზე. ვერაფერი ვერ გაამართლებს ახალ დაყოვნებას ერთიანობის განხორციელებაში. ჩვენი მხრით არავითარი დაბრკოლება არ არსებობს პროლეტარიატის ერთიანი პარტიის დაუყოვნებლივ შესაქმნელად. ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთიან მუშათა კლასს, ერთიან პროფკავშირებს, ერთიან პარტიას".

დასასრულ დიუკლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატს სურს და მოითხოვს საფრანგეთის მუშათა კლასის ერთიანობის განხორციელებას, რაც დიდ გავლენას მოახდენდა საერთაშორისო ბრძოლაზე ფაშიზმის წინააღმდეგ.

შემდეგ რანეტი, რომელიც ყრილობაზე თავმჯდომარეობს, კითხულობს პარტიის ყრილობის მიერ მიღებულ მრავალრიცხოვან მისასალმებელ დეპეშებს.

# საფრანგეთის კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფის ცნობა

**პარიზი**, 26 დეკემბერი (საქდესი). კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფმა განიხილა რა მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში ფაშისტთა შეთქმულების შედეგად, გამოაქვეყნა ცნობა. ცნობაში აღნიშნულია, რომ საპარლამენტო ჯგუფი მოითხოვს მთავრობისაგან დაუყოვნებლივ დაშალოს „საფრანგეთის სოციალური პარტია" და სხვა ფაშისტური ორგანიზაციები. შემდეგ საპარლამენტო ჯგუფი გამოსთქვამს სოლიდარობას გაფიცულ მუშებთან, რომელნიც გამოდიან სოციალური კანონმდებლობის დასაცავად, და პროტესტს აცხადებს ხელისუფალთა ზომების წინააღმდეგ, რომელნიც გაფიცულთ ფაბრიკის შენობებიდან ერეკებიან.

დეპუტატთა პალატის „მემარცხენე ჯგუფთა დელეგაციის" სხდომაზე კომუნისტებმა მოითხოვეს, რათა მთავრობა დაეხმაროს წვრილ მესაკუთრეებს, და პროტესტი განაცხადეს ამასწინანდელ დადგენილებათა წინააღმდეგ, რომლებიც შესაძლებელს ხდიან 40 საათიანი სამუშაო კვირის კანონის დარღვევას შახტებში.

# საომარი მოქმედება ჩინეთში

### ცენტრალურ ჩინეთში

**ხანკოუ**, 26 დეკემბერი (საქდესი). 24 დეკემბერს დილით იაპონელთა ჯარები გადავიდნენ სწრაფ შეტევაზე ხანჯოუს წინააღმდეგ (ჯეძიანის პროვინციის დედაქალაქი). ბრძოლები არ შეწყვეტილა მეორე დღემდე. შეტევა ქალაქზე ოთხი მიმართულებით ხდებოდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უხუდან გუანდით (ანხუეის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი) გადასროლილი იაპონელი ჯარების შემოვლით მანევრს. 25 დეკემბერს იაპონელთა ჯარები შევიდნენ ხანჯოუში. მაშინვე დაიწყეს საყოველთაო ჩხრეკა. გაუჩხრეკელი არ დაუტოვებიათ უცხოელთა სახლებიც.

როგორც ფრონტიდან იუწყებიან, იაპონელთა ჯარები ხანჯოუს აღების შემდეგ ავითარებენ შეტევას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ტუნლუზე და აღმოსავლეთის მიმართულებით შაოსინზე.

ნანკინის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში 25 დეკემბერს ჩინელმა ჯარებმა დაიბრუნეს ქალაქი ჩუჯოუ (ნანკინის ჩრდილო-დასავლეთით).

იაპონელთა რაზმი 500 კაცის რაოდენობით, რომელიც გადმოსხდა მდინარე იანძის ჩრდილო ნაპირზე, უხუს პირდაპირ, სავსებით განადგურებულია ჩინელი ჯარების მიერ. ნანკინსა და უხუს შუა მდებარე რაიონში მოქმედებს ჩინელთა დიდი პარტიზანული რაზმი.

### ჩრდილო ჩინეთში

**ხანკოუ**, 26 დეკემბერი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი სიუჯოუდან იუწყება, რომ 25 დეკემბერს საღამოს 6 საათზე იაპონელთა ჯარებმა ქალაქ ძინანის რაიონში (შანდუნის პროვინცია) გადალახეს მდინარე ხუანხე. ბრძოლა სწარმოებს ლეკოუს რაიონში (ძინანის მახლობლად). გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ჩინელ და იაპონელ ჯარებს შორის ცინჩენის რაიონში, სადაც იაპონელთა ჯარები გადავიდნენ აგრეთვე მდინარე ხუანხეს. 25 დეკემბერს ჩინელთა ჯარებმა გამოდევნეს იაპონელები, დაიკავეს ქალაქი პუიანი (დამინის სამხრეთით, ხებეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში), ჩინელმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს იაპონელები ქალაქ გუანსიანის რაიონში (დამინის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და დაიკავეს ქალაქი. დღეს სამხედრო წრეებში ადასტურებენ ცნობებს, რომ იაპონელებმა დაიკავეს ქალაქი დამინი, საიდანაც რამდენიმე დღის წინათ ჩინელმა ჯარებმა გამოდევნეს იაპონელები.

26 დეკემბერს იაპონელთა 3 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ვაგზალს ქალაქ სიუჯოუში. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე ქალაქ ფანჩენს (ხებეის პროვინციის ჩრდილო ნაწილი), სადაც გადმოყარეს 20 ყუმბარა.

# პარტკალენდარი

29 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაც. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის აგიტატორებისათვის რუსულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „გერმანიის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა". მომხსენებელი ამხ. ზნიკაძე.

29 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში რაიონის პარტაქტივისათვის ქართულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „შოთა რუსთაველის ეპოქა".

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი პ. შეროზია


**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1937—38 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 29/XII | წარმოდგენა 61 **გმირთა თაობა** |
| 30/XII | წარმოდგენა 62 **გმირთა თაობა** |
| 1/I | წარმოდგენა 63 **ალკაზარ** |

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 29/XII | მუდმ. ადგ. ტალ. № 60 **დაისი** |
| 31/XII | მუდმ. ადგ. ტალონი № 61 **სიმფონიური კონცერტი შოთა რუსთაველის** პოემის ვეფხის ტყაოსნის დაწერის 750 წლისთავის აღსანიშნავად. |
| 1/I | მუდმ. ადგ. ტალ. № 62 **ქეთო და კოტე** |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

**დღეს სახკინმრეწვის თეატრებში**

| | |
|---|---|
| ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135; კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91 | დიდი ხმ. მხატვრ. ფილმი **ლენინი ოქტომბერში** ოქტომბ. დასაწყ. 6-40 კომკავშ. დასაწყ. 6 ს. |
| დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125; რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8; 26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი. | 1) ხმოვანი მხატვრ. ფილმი **„ძ ა ჯ ი თ ი"** ეპიზოდი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხის-ტყაოსნიდან". 2) ხმოვანი მულტიპლიკაცია **გაიძვერა**. დასაწყ. 6-30 |
| სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23 | ახალი ხმოვანი ფილმი **აყვავებული უკრაინა** დასაწყისი 6-30 |
| არსენა კომუნალური ქ. № 9 | ხმოვანი ფილმი **კ ა რ ო** დასაწყ. 6-30 |
| ახალი ამბები | ხმოვანი კინო-ნარკვევი **მოსკოვი** დასაწ. 6-30 |

**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

| | |
|---|---|
| 29/XII წარმ. № 65 | **ნაპერწკლიდან** |
| 30/XII წარმ. № 66 | **ფიგაროს ქორწინება** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 ს-მდე.

**სახცირკი.** ტელ. 3-11-44

დღეს, 29 დეკემბერს უდიდესი ატრაქციონი ლილიპუტების მუსიკალურ-ექსცენტრული დასი **კინო-ჯაზი** დიდი პაროდიული წარმოდგენა. მონაწ. 30-მდე კაცი. გარდა ამისა, **ცირკის მთელი დასი** და ახალი ნომრები. დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 ს. და 5 საათიდან.

30 დეკ. ორი წარმოდგენა დღისით.


## დასკვნითი ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის „საქსოფლელექტროსი"—საქართველოს სსრ მიწსახკომის საპროექტო-სამონტაჟო კანტორისა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში

**აქტივი**

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 93503—43 |
| 2 | მასალები | 451034—91 |
| 3 | შესრულებული სამუშაოები — სააქცეპტოდ წარდგენილი ანგარიშებით და აქცეპტის ვადის დაუდგომლობის გამო არააქცეპტირებ. | 247384—36 |
| 4 | მომავალი წლების ხარჯები | 31291—95 |
| 5 | ფულადი საშუალებანი | 187976—05 |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორებებში | 96411—10 |
| | ბალანსი | 1.110.601—83 |

**პასივი**

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1 | საწესდებო ფონდი | 510890—99 |
| 2 | საამორტიზაციო ფონდი | 12279—72 |
| 3 | საშუალებანი ანგარიშსწორებებში | 375609—04 |
| 4 | რეზერვები და მომავალი გადასახდელები | 58729—38 |
| 5 | მოგება | 153092—70 |
| | ბალანსი | 1.110.601—83 |
| | ძირითად. საშუალებათა გაცვეთა | 4918—17 |

## 1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

| №№ | მუხლების დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| 1 | გადახარჯვა სანარდო სამუშაოთა ხელშეკრულებების შესრულებაზე | 67042—65 |
| 2 | დამხმარე წარმოებათა პროდუქციის რეალიზაციით | 26—35 |
| 3 | დანაკარგები უიმედო ვალების ჩამოწერით | 2158—72 |
| 4 | ჯარიმები, საურავი და საუპირულო | 1399—99 |
| 5 | მასალების დანაკლისი | 941—73 |
| 6 | დანაკარგები წარსული წლების ოპერაციებზე | 16246—29 |
| 7 | სხვა მიზეზებით | 1852—38 |
| 8 | სადავო ვალების რეზერვის გადარიცხვა | 2806—— |
| | სულ | 92474—11 |
| | დაგროვებათა სალდო | 153092—70 |
| | ბალანსი | 245.566—81 |

| №№ | მუხლების დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| 1 | ეკონომია საამშენებლო ფინანს. გეგმის შესრულებით | 97201—58 |
| 2 | დაგროვებანი სამუშაოთა ჩაბარებით | 69396—31 |
| 3 | დამხმარე საწარმოთა პროდუქციის რეალიზაციით | 16634—08 |
| 4 | სასარჩელო ხანდაზმულობის გასვლის გამო კრედიტორული დავალიანებია ჩამოწერით | 1188—50 |
| 5 | გამოუყენებელი რეზერვებისა და ფონდების გადარიცხვით | 5 985—56 |
| 6 | მიღებული პროცენტები | 789—85 |
| 7 | მიღებული ჯარიმები, საურავი და საუპირულო | 894—90 |
| 8 | მასალების გარდამეტი | 1235—57 |
| 9 | სხვა მიზეზებით | 1 94—90 |
| | სულ | 245566—81 |
| | ბალანსი | 245.566—81 |

ბალანსი დამტკიცებულია საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ 1937 წ. 1 ივნისს და „გლავსელელექტროს" მიერ 1937 წლის 27 თებერვალს.

დირექტორი **ტევოსიანი**. მთ. ბუხჰალტერი **კორბონსკაია**. 16-8


მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3-?-88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო სამეურნეოს — 3—73—10. მუშათა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მდივნის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამო ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 32907